ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველობის გადასარჩენად

# ილორი



№ 18 (87) 9 ივნისი 2009 სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ორგანო 50 თეთრი

ვეკითხებით ხელისუფლებას: რომელიც კორუფციის სავანედ ქცეულ სახელისუფლებო სკამებს ვერ ელევა! ვეკითხებით ოპოზიციას: რომელიც ამ სკამებისაკენ მანიაკალურად მიილტვის! 5 მაისის სპეცოპერაციის დროს, როცა დაიღუპა გენერალი გია კრიალაშვილი, იმყოფებოდა თუ არა იგი მაშინ გლდანში, რადგან ხალხში არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ იგი ადრე მოკლეს და მისი გვამი სპეცოპერაციის ადგილზე მიიტანეს. სამართალდამცავთა მტკიცებით, გენერალი კრიალაშვილი ორმხრივი სროლისას დაიღუპა, გია კრიალაშვილის ცხედრის სახლში გადასვენების შემდეგ კი მისმა ქვრივმა განაცხადა, რომ მის მეუღლეს ნატყვიარი არ ჰქონდა და ერთ დღეში მიცვალებულს თავი საეჭვოდ გაუსივდაო! გარდა ამისა, ოთანაძეს მოუხერხებია იმის თქმა, რომ კრიალაშვილი ჩვენთან საერთოდ არ იყო და ჩვენ არც იარაღი გვქონდაო. ხომ არ ნიშნავს ყოველივე ზემოთთქმული იმას, რომ კრიალაშვილმა ისეთი რამ იცოდა 2008 წლის აგვისტოს ომის თაობაზე, რომლის გამჟღავნება ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, და ამიტომაც მოიცილეს იგი თავიდან? ასევე გეკითხებით: რა მოტივით დააკავეს სპეცოპერაციამდე გენერალ კობა ოთანაძის ძმები — ნუგზარ და ჯიმშერ ოთანაძეები, ჯიმშერის მეუღლე გულო დარიძე და მისი 19 წლის ვაჟი გიორგი ოთანაძე. გეკითხებით: რა იყო სინამდვილეში მუხროვანის ამბოხი. ეს ჯარისკაცები ხომ აგვისტოში გულანთებულები იბრძოდნენ მაშინ, როცა მათი პალსტუხილეჭია პრეზიდენტი ბუჩქებს აფარებდა თავს? ხომ არ არის ე.წ. ამბოხი ამგვარი მთავარსარდლის შელახული რეპუტაციის აღდგენის უსუსური მცდელობა?

საზოგადოება პასუხს ელოდება!

## მ ა ფ ა ლ უ 8

ახლა იმ მიმართულებით ვიღვაწე, რომ მომეხერხებინა, არა მარტო მათი ეპოქის საიდუმლოებებთან კავშირში ამოცნობა, არამედ ილიას სწავლებით ჩვენი სათაყვანებელი მამულიშვილების "ქერქში ჩაჯდომა" და იმის ახსნა თუ რამ, რა აუცილებლობამ გამოიწვია ხელისუფლებასთან მათი ზოგჯერ სწორი, ზოგჯერ კი აშკარად ცალმხრივი და გაუმართლებელი სოლიდარობა.


გიორგი ციციშვილი

მაფალუ

(დოკუმენტები და კომენტარები)

წიგნი I

(ალტერნატივა)

„მაფალუ" მეგრული ავტონომისტურ-სეპარატისტული ინიციატივა კი არა, არამედ სამეგრელოს მონაპოვარით ქართული ეროვნული კულტურის გამდიდრების მცდელობა იყო

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ზულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ — სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

## ლავრენტი ბერია — ქართული გენია 4



## ოპოზიცია 7



ისტორიული მასალები

## სამეგრელოს საამაყო შვილები 5



ფრიდონ თოდუა

გაზეთი "ილორი" აქვეყნებს წერილების ციკლს, რომელიც ასახავს ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს. 12





9



## ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს! 6

ნაწყვეტები ვ. ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია"

უტყუარი ჭეშმარიტებაა: ჭეშმარიტებამდე მუდამ ერთი ნაბიჯია ("კავკასიური ნახშირის წრე")

დავით ქობალია 10

# საით მიდიხარ საქართველოვ?!



ჭაბუა ამირეჯიბის უკვდავი ნაწარმოების **"დათა თუთაშხიას"** ერთ-ერთი გმირი რესტორანში თანამეინახეებს შორის ატეხილი შფოთის შემდეგ გულდაწყვეტილი ამოიკვნესებს: **"საით მიდიხარ, საქართველოვ?!"** ჰაი, ჰაი, რომ იმ გმირმა ერთხელ თქვა, ჩვენ კი ყოველდღე ვიმეორებთ ამ ლამის საბედისწერო პაროლად ქცეულ სიტყვებს, რადგან, ჩვენის აზრით, დღეს, პირუკულმად მიმავალ საქართველოს რომ შიდა მტრების წყალობით გასაჭირი ადგას, ამგვარი გასაჭირი მაშინაც არ დასდგომია, როცა ათასი ჯურის მომხვდურთაგან გაჭყლეტილი ლამის სულს ღაფავდა.

იმიტომ, რომ გარედან შემოსეულ მტერს ჩვენი მხოლოდ ფიზიკური განადგურება ეწადა, მაგრამ ერის სულიერება იმდენად მძლავრობდა, რომ ხელერთპირად განადგურებულ სოფელში გადარჩენილი თუნდაც ერთი ოჯახი მაინც მრავლდებოდა და ინარჩუნებდა ქართულ სულიერებასა და მამაპაპურ ტრადიციებს.

გარეშე მტერმა არ იცოდა, როგორ უნდა აღეგავა ქართველი ერი მიწისაგან პირისა და მხოლოდ ხმლით გვებრძოდა, ვენახსაც გვიკაფავდა, დატყვევებულ ქართველებს მოუსავლეთში მიერეკებოდა, მაგრამ გამორიცხულია, რომ მხოლოდ ხმლით, ნებისმიერ, თუნდაც ყველაზე უმწეო ერი მთლიანად მოსპო და გაანადგურო. თუ ერის განადგურება გსურს, ენა, სარწმუნოება და მომავლის იმედი უნდა მოუკლა მას.

განა სწორედ ამ გზით არ მიემართება დღეს საქართველო?

ქართველი ერის სუსტი ადგილები მხოლოდ საქართველოს საშოში აღმოცენებულმა მტერმა იცის. ამიტომ, მასონებმა და სხვადასხვა ჯურის გლობალისტებმა საქართველოში ედუარდ შევარდნაძის თავკაცობით ქართველებისაგან სწორედ ის "მეხუთე კოლონა" შექმნეს, რომელიც ჯერჯერობით წარმატებით ახორციელებს ქართველი ერის განადგურების მზაკვრულ ამოცანას.

**"იყიდება საქართველო!"** – ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში შეშფოთებით არისხებდა ზარს შესანიშნავი ქართველი მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე მაშინ, როცა გულდაარხეინებული ქართველი თავად-აზნაურობა სომხებზე და სხვა გადამთიელებზე ჰყიდდა ქართულ მიწებს და ამ აღებულ ფულს კვლავ ბორდელებისა და რესტორნების მეპატრონე სომხებს ჩაუთვლიდა ხოლმე.

დღეს კი ბევრად უარესი მდგომარეობაა საქართველოში, რადგან იგი უკვე მთლიანად გაიყიდა და ახლა უკვე მიმდინარეობს საქართველოს ქართველებისაგან დაცლის პროცესი. როცა საქართველოდან უცხოეთში გასვლა რამდენიმე ათასი დოლარი ღირდა, უმუშევრად დარჩენილი ქართველები მაშინ ძვრებოდნენ ნემსის ყუნწში, სახლ-კარს ყიდდნენ უცხოეთში სამუშაოს საძებნელად წასასვლელად, რათა ოჯახის სარჩენი ლუკმა ეშოვათ. მაშინ განახევრდა საქართველო. ახლა კი, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, როცა ევროპასთან მიმოსვლის სავიზო რეჟიმი გამარტივდება – საქართველოს სოფლები და ქალაქები წამიერად დაიცლება იმ პროდუქტიული ახალგაზრდებისაგან, რომელიც ერის გენოფონდს წარმოადგენენ. ადრე, სისხლის სღრევისაგან გაჩიავებულ-დამახინჯებული საკუთარი ერის გასაჯანსაღებლად საქართველოდან სპარსეთში ერეკებოდნენ ქართველ ახალგაზრდებს, ახლა კი ეს საჯიშე ახალგაზრდები თავისი ფეხით ჩაუვლენ იმ **"გამოჰომოსექსუალისტებულ და გამოლესბოსელებულ"** ევროპელებსა და ამერიკელებს, რომელთაც პრაქტიკულად მომავალი აღარ გააჩიათ იმიტომ, რომ კაცი კაცზე ქორწინდება, ქალი კი ქალზე.

სამაგიეროდ, საქართველო აღარ იქნება, თუ დროზე არ აილაგმენ ის **"პოზიციაცა და ოპოზიციაც"**, რომლებმაც ესოდენ დიდი უბედურება დაატეხეს თავს ჩვენს ბედკრულ სამშობლოს.

როგორ შეიძლება, მართლმადიდებელ მორწმუნე ადამიანს მშობლიურ ეკლესიაზე რამე აუგი წამოსცდეს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გზააბნეული საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ გრძნობს სულიერი მწყემსის მტკიცე ხელს. ეკლესიები შენდება უმეტეს სატანურ ადგილებში, განსაკუთრებით კი ძალადობითა და თავხედური სისასტიკით გამორჩეული **"სამართალდამცავი"** სტრუქტურების ეზოებში. მიჭირს იმის დაჯერება, რომ ამ წყეულთა სიახლოვეს წმინდა სალოცავები ქართული ეკლესიის მღვდელმთავართა კურთხევით შენდება. ეკლესია წმინდა ადამიანის ხილვის კარნახით უნდა აიგოს და არა ნაქურდალ-ნაოხრალი ფულითა და უწმინდური სულის მქონე არაადამიანთა ძალისხმევით.

ალბათ ამიტომაც გვსჯის ღმერთი ქართველებსა და საქართველოს!

ქართველი ხალხის სულიერების დეგრადაცია სახეზეა. სუროგატული ევროამერიკული ღირებულებების პროპაგანდამ ერთიანად დაამახინჯა საზოგადოებრივი ცნობიერება, შერყვნა მორალი. ის, რაც ადრე საძრახისად და სამარცხვინოდ ითვლებოდა, დღეს ლამის ერის ცხოვრების ორდინალურ მოვლენად იქცეს. 2009 წლის მაისში ქართულმა ტელეარხებმა რეკლამირება გაუწიეს ჟურნალ **"პრაიმტაიმში"** გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიას შემდეგი სათაურით: **"სოფო ჭყონიამ თავისი მეორე ბავშვის მამის გვარი არ იცის".** არ ვიცი რა ეწოდება დღეს ამას, არც აღნიშნული წერილი წამიკითხავს, მაგრამ, სათაურიდან გამომდინარე, შემიძლია დავასკვნა, თუ რა ჰქვია ფაქტს, როცა დედამ ბავშვის მამის გვარი არ იცის. ადრე, მაგალითად, ამგვარ მოვლენას **"ბოზობას"** უწოდებდნენ. ქალს, რომელიც მამის ვინაობის უცოდინრად გააჩენდა შვილს, **"კახპას"** ეძახდნენ, ამგვარად გაჩენილ ბავშვს კი **"ნაბიჭვარს", გინა "ნაბუშარს"** (მკითხველს ვთხოვ ეს სახელი არ აერიოს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის სააკაშვილის ინიციატივით დარქმეულ ამერიკის პრეზიდენტ ბუშის სახელში, რომელსაც ამჟამად თბილისელები **"ნაბუშარს ეძახიან"** – რედაქცია). აი, რა გახლავთ დღევანდელი ქართული მასმედიის ორიენტირი და საით მიჰყავს მას ქართველი ახალგაზრდობა.

საინტერესოა ისიც, რომ უამრავი ტელეარხი, და მათ შორის ყოველი არაქართულის მოტრფიალე **"რუსთავი-2"** სისტემატურად ატარებენ მცირეწლოვან ბავშვთა კონკურსებს უცხოური, მათ შორის ამერიკული სიმღერების შესრულებაში. ამ დალოცვილებმა ალბათ არ იციან, რომ თვით ამერიკელებმა ქართული სიმღერა **"ჩაკრულო"** სამყაროს პირადობის მოწმობად აღიარეს და კოსმოსში გააგზავნეს. ამერიკული ჯაზური მელოდიების ავტორებად კი ზანგები ითვლებიან, რომელთაც ეს კულტურა ამერიკაში აფრიკიდან ჩაიტანეს. სწორედ ამაზე ამბობენ ქართველები: **"თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო!"** შე მართლა დალოცვილო, უმდიდრესი და განუმეორებელი ქართული ხალხური სიმღერები წინ გედოს და ამერიკიდან რაღაც სუროგატულ კაკაფონიას მოათრევდე – ასე რამ დაგაბრმავა და დაგაყრუა?

ესეც შენი **"ევროპიზაცია და ამერიკანიზაცია"!**

ჯერ კიდევ 1996 წელს, თავის სტატიაში **"საქართველოს ბორცვებზე ფესის ჩრდილი ჩამოწვა...",** ცნობილი ქართველი პოლიტოლოგი და საზოგადო მოღვაწე, სახალხო მოძრაობა **"სამეგრელოს"** თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჭაჭია გვაფრთხილებდა, რომ **"...ქვეყნის დაშლასთან, ეკონომიკის რღვევასთან, ხალხის გაღატაკებასთან, განათლების, მეცნიერების, კულტურის დაცემასთან ერთად დღეს საქართველოს ემუქრება ყველაზე საშინელი საფრთხე – თავისი ეროვნული სახის დაკარგვა და, უფრო მეტიც, ქართველი ერის, როგორც კულტურულ-ისტორიული ერთიანობის ფიზიკური გაქრობა..."** ქართველი ერის კვდომის პროცესები უკვე დაწყებულია, რადგან სახეზეა მისი "დაბერების" შეუქცევადი ტენდენცია, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე პირადად ნათლავს ოჯახში გაჩენილ ყოველ მესამე შვილს, მაინც კატასტროფულად დაბალია შობადობა, მრავალსულიანი ოჯახები არ იღებენ სოციალურ დახმარებას, ეთნიკურად არაქართველი მიხეილ სააკაშვილი და მისი დანაშაულებრივი გარემოცვა განადგურებას უქადიან საქართველოს.

მშველელი კი არსაიდან მოჩანს!

დამნაშავე ვართ ჩვენ, მაგრამ, დამნაშავეები არიან რუსეთის ის ხელისუფლებიც, რომელთაც წაუყრუეს შევარდნაძის მიერ არჩევნების არაერთგზის გაყალბებას, ბრმად დაუჭირეს მხარი მის პოლიტიკურ ავანტიურებს, ხოლო როცა მათ შევარდნაძესთან ურთიერთობა გაუფუჭდათ, მთელ ქართველ ერს აქციეს ზურგი, გადაგვიკეტეს სახელმწიფო საზღვარი და დაგვიწესეს სავიზო რეჟიმი. მოვიშველიებთ რუსულ ანდაზას: **"Свято место пусто не бывает"**. ამერიკელებმაც ისარგებლეს საქართველოში ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური ვაკუმით და თბილისში წამსვე შექმნეს **"თავისუფლების ინსტიტუტი"**, რომელმაც შექმნის პირველივე დღიდან გამოუცხადა დაუნდობელი ომი მართლმადიდებლურ რელიგიას, მდიდარ ქართულ ეროვნულ ტრადიციებს და ენერგიულად შეუდგა ქართველი ახალგაზრდების გადაგვარების საქმეს. უაღრესად **"ჭკვიანი"** რუსი პოლიტიკოსების დიდი ნაწილი, ნაცვლად იმისა, რომ დაგვხმარებოდნენ საქართველოში **"თავისუფლების ინსტიტუტის"** საპირწონე საზოგადოებრივი ინსტიტუტის შექმნაში და დაპირისპირებოდნენ ამერიკელ და ევროპელ **"გლობალისტებს",** ჩვენ, ქართველებს სასტიკად დაგვიპირისპირდნენ და ამით კიდევ უფრო შეასუსტეს საქართველოს მატერიალური, მორალური და სულიერი პოტენციალი. ახლა კი, ალბათ წლები დასჭირდება საქართველოში ამერიკელთა მიერ შემოთესლილი **"თავისუფლების ინსტიტუტისა"** და მისი მძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრას.

შედარებისათვის კვლავ მოვიყვან ციტატას ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მითითებული სტატიიდან: **"...შეიქმნა საერთაშორისო ურთიერთობის პრაქტიკაში უნიკალური სიტუაცია: "დასავლელ" შევარდნაძეს "პრორუსული" პატიაშვილის (იგულისხმება 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოში – რედაქცია) წინააღმდეგ ბრძოლაში მოსკოვმა ელცინის, კოზირევის, გრაჩოვის პირით დაუჭირა მხარი..."** შემდეგ კი **"საქმეში"** ჩაერთვნენ თვით რუსეთშიც კი ოდიოზურ ფიგურებად აღიარებული რაგოზინები, ზატულინები, მარკოვები, მიგრანიანები და სხვა ბოლმის ბუკეტები, რომელთაც თავიანთი ავბედითი ყარყაშით კიდევ უფრო დააშორეს ერთმანეთს ქართველი და რუსი ერი.

ამიტომაც გვიჩნდება ჩვენ არც თუ უსაფუძვლო ეჭვი იმის თაობაზე, რომ ელცინსა და შევარდნაძეს შორის მომხდარი ბინძური პოლიტიკური და ფინანსური გარიგების საფუძველზე მათ საქართველო ამერიკელებს მიჰყიდეს.

ალბათ ამიტომაც არ გახლავთ იოლი საქმე საქართველოს ამერიკელთა კლანჭებისაგან გამოგლეჯა და რუსეთთან დაახლოება, რათა საქართველო კვლავ დაუბრუნდეს ცხოვრების ჩვეულ რითმს.

ამასობაში, **"თავისუფლების ინსტიტუტი"** საქართველოში წამლავს გარემოს, და რაც მთავარია, წამლავს ჩვენს ახალგაზრდობას გლობალისტთა მიერ შემოგდებული ყოველმხრივი არატრადიციული შხამით. ახალგაზრდა თაობის გადაგვარებას ხომ წლებიც ჰყოფნის, მათი **"გადმოგვარებისათვის"** კი ზოგჯერ ათწლეულებიც არ არის საკმარისი. დრო კი არ ითმენს – საქართველოში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში გაიზარდა თაობა, რომელმაც საერთოდ არ იცის რუსული ენა. უფრო უარესიც – რუსეთი, როგორც სახელმწიფო, მათთვის ასოცირდება საქართველოს დაუძინებელ მტერთან. ეს ხომ იმ დიდი რუსი და ქართველი ადამიანების ხსოვნის შეურაცხყოფაა, რომლებიც დიდ ძალისხმევას ახმარდნენ ამ ორი ერის დაახლოების საქმეს.

ვერ ვიტყვით, რომ რუსეთის ავტორიტეტული პოლიტიკური სპექტრის დიდ ნაწილს ჯანსაღი პოზიცია უკავია მთელ ამ პოლიტიკურ ბაკქანალიაში, რადგან საქართველოსა და რუსეთს შორის სიტუაცია დაიძაბა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, რომლის ესკალაციას შემდგომში ორივე მხარემ **"წარმატებით"** შეუწყო ხელი. დღემდე ვერ გაგვიგია – აძლევს კი ხელს რუსეთს, რომ საქართველო დაკარგოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ფასად. საქართველოს გეოსტრატეგიული სივრცის დაკარგვით რუსეთი ხომ აუცილებლად დაკარგავს გავლენას მთელ ამიერკავკასიაზე. მაშინ რაღა ფასი ექნება მისთვის აფხაზეთს ან სამაჩაბლოს? რატომ არ უნდათ გაიხსენონ რუსებმა მათი შესანიშნავი პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ვასილ ველიჩკოს სიტყვები, რომელიც ხმამაღლა, მთელი რუსეთის გასაგონად აცხადებდა, რომ **"რუსეთს მთელ ამიერკავკასიაში ერთადერთი რეალური და საიმედო დასაყრდენი ძალა გააჩნია – საქართველო და უღალატო ქართველი ადამიანი".**

## ციტატა შეხსენება

...რა ვქნათ შექმნილ სიტუაციაში ჩვენ, ქართველებმა, თუ გვინდა ერი და საკუთარი სახელმწიფოებრიობა შევინარჩუნოთ?

უპირველეს ყოვლისა საჭიროა კატეგორიულად აღმოვფხვრათ მუქთახორის სამარცხვინო ფსიქოლოგია. აუცილებელია შევიგნოთ, რომ არავინ არაფერს ტყუილუბრალოდ არ მოგვცემს, არავისთვის, გარდა ჩვენი თავისა, ჩვენ არავითარ ღირებულებას არ წარმოვადგენთ. ჩვენთან ჩამოსული უცხოელები, "აღტაცებულები" ჩვენი ცეკვებითა და სიმღერებით, ასევე "აღფრთოვანებულები" არიან აფრიკის ნებისმიერ ტომთან სტუმრობისას. უნდა იყო ჭეშმარიტი იდიოტი, რომ ჩათვალო, თითქოს "მსოფლიო საზოგადოება" შეგვინახავს ქართული სიმღერის შენარჩუნებისათვის. ერს პატივს სცემენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შეუძლია საკუთარი თავის უზრუნველყოფა, განვითარება, დაცვა, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოება.

(ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის თებერვალი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



**კლიმენტი შელია**

# იქნებ ასე სჯობდეს

1. საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გროზნოდან გადმოსვენებისა და მთაწმინდის პანთეონში დაკრძალვის შემდეგ დაიწყო დისკუსია: რომელია საქართველოს დამოუკიდებლობის დღე (თარიღი), 26 მაისი თუ 9 აპრილი? საკითხის გასარკვევად მიზანშეწონილად მიგვაჩნია, მოკლედ განვიხილოთ XX საუკუნის დასაწყისში საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ზოგიერთი ასპექტი: 1918 წლის 10 მარტს, თურქეთმა ამიერკავკასიის მთავრობას მოსთხოვა უძველესი ქართული მიწები დაეცალა და დაიწყო იქ თავისი ჯარის შეყვანა. ამიერკავკასია-თურქეთის სეპარატული საზავო მოლაპარაკება დაიწყო ტრაპიზონში. თურქეთი მოლაპარაკების გაგრძელებას შესაძლებლად თვლიდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იურიდიულად იქნებოდა აღიარებული. ტრაპიზონის მოლაპარაკება აპრილის შუა რიცხვებში ჩაიშალა. თურქებმა განაგრძეს საქართველოს ტერიტორიების მიტაცება. 15 აპრილს მათ ბათუმი დაიკავეს. საფრთხე შეექმნა თბილისს და მთელ საქართველოს. თურქეთის მიზანი იყო საქართველოს ოკუპაცია.

ასეთ ვითარებაში, თურქი აგენტების ხელშეწყობით, მესხეთში მცხოვრებმა თურქებმა მოითხოვეს მესხეთის ავტონომია თურქეთის შემადგენლობაში. საქართველოს წინააღმდეგ დანაშაულებრივ მოქმედებას სათავეში ედგა გამუსულმანებული სერვერ ბეი ათაბაგი (ჯაყელი), რომლის თავაშვებული რაზმები საშინელ დანაშაულს სჩადიოდნენ ქართველი ქრისტიანების წინააღმდეგ – აწიოკებდნენ მოსახლეობას, აუპატიურებდნენ ქალებს, განურჩევლად შეურაცხყოფას აყენებდნენ ყველა ქრისტიანს, ხშირად ცეცხლს უკიდებდნენ მათ სახლებს, უბინძურებდნენ ჭებს. მათ 40-კაციანი დელეგაცია გაგზავნეს საზავო კონფერენციაზე მესხეთის ავტონომიის მოთხოვნით. სწორედ მათი ნაშიერები არიან დღევანდელი ე.წ. თურქი-მესხები, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით უტევენ საქართველოს და მხოლოდ კომპაქტურად დასახლებას მოითხოვენ. გამყიდველი სერვერ ბეის (ჯაყელის) შთამომავლები თუ მოგვარეები კი დღეს ურცხვად აცხადებენ, რომ სერვერ ბეი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის თავდადებული მებრძოლი იყოო!

მუსავატური პარტია ხელს უწყობდა თურქეთის დამპყრობელურ ღონისძიებებს ამიერკავკასიაში და მუსლიმანურ მოსახლეობას აქეზებდა ხელი შეეწყოთ კავკასიის თურქეთთან შეერთებისათვის. როგორც ყოველთვის, ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა დაშნაკურ პარტიასაც. ერთადერთი, ვისაც საქმის ხელში აღება შეეძლო, იყო საქართველოს ეროვნული საბჭო.

ამ დროს ბათუმის საზავო კონფერენციაზე საშუამავლო მისიით ჩამოსული იყო გერმანიის დელეგაცია, რომელთან მოლაპარაკებამაც იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ აუცილებელი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან აკაკი ჩხენკელის აზრით **"საქართველოს გერმანიასთან ურთიერთობის მყარი საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა, თუ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა."** ამიტომაც გამოგზავნა მან დეპეშა საქართველოს ნაციონალურ საბჭოში, რათა დამოუკიდებლობა გამოეცხადებინათ გერმანიასთან ხელშეკრულების გასაფორმებლად. ამდენად, საქართველოს დამოუკიდებლობის დღედ 26 მაისის გამოცხადება მიზანშეწონილი არ არის....

თურქეთი, არა მარტო ბრესტის ზავით **"მიკუთვნებული"** ტერიტორიების დაცლას მოითხოვდა, არამედ პრეტენზიას აცხადებდა სხვა ქართულ მიწა-წყალზე. თურქეთმა 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის ფედერაციის მთავრობას წაუყენა ულტიმატუმი: 72 საათის განმავლობაში გადაეწყვიტა ახალი საზღვრების საკითხი, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთის ჯარების გატარებისა და სამხრეთ კავკასიაში ე.წ. რეფერენდუმის ჩატარების თანხმობის საკითხიც. ამიერკავკასიის სეიმს, გარდა გადაუჭრელი საგარეო-პოლიტიკური კრიზისისა, მასში (სეიმში) შემავალ პარტიებს გადაულახავი საშინაო – ერთმანეთისაგან განსხვავებული პირობები შეექმნათ და ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. გამთიშველებმა გაიმარჯვეს და სეიმი დაიშალა. ასე გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას სატელევიზიო გადაცემაში, ერთერთმა მოპაექრემ, რომელიც მხარს უჭერდა 26 მაისის გამოცხადებას საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღად, იმდროინდელი ხელისუფლების საგარეო საქმიანობის ქებაში ზღვარს გადააჭარბა და განაცხადა: საქართველო ერთა ლიგაში მიიღესო. ასე არ ყოფილა. ქართველი მენშევიკები და მათი ლიდერები პატრიოტები კი იყვნენ, მაგრამ არსებულ ვითარებაში მეტის გაკეთება ვერ შესძლეს.

ერთა ლიგა 1920 წელს შეიქმნა, რომლის წევრობა საქართველოსათვის საიმედო გარანტი იქნებოდა საგარეო უშიშროების თვალსაზრისით. საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა ნორვეგიის წარმომადგენელმა დოქტორმა ნანსენმა და სამხრეთ აფრიკის წარმომადგენელმა ლორდმა სესილმა. ინგლისელმა ფიშერმა განაცხადა: ერთა ლიგას არა აქვს საშუალება მატერიალური დახმარება გაუწიოს რუსეთის საზღვარზე მყოფ ამ მამაც პატარა სახელმწიფოს, და ყრილობას ურჩია, თავი შეეკავებინა მისი მიღებისაგან.

ერთა ლიგის 23 წევრიდან საქართველოს მიღებას მხარი დაუჭირა 10-მა ქვეყანამ. არავინ იცის, როგორი იქნებოდა საქართველოს მომავალი, იგი რომ ერთა ლიგაში მიეღოთ. ცნობილია, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ლოიდ ჯორჯმა, რომელიც ცდილობდა რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების დამყარებას, განაცხადა, რომ საქართველოს საკითხი რუსეთის საშინაო საქმეაო, რითაც ბოლშევიკებს გზა დაულოცა საქართველოში შეჭრისათვის.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღედ 9 აპრილის გამოცხადებას ეწინააღმდეგებოდნენ მხოლოდ ისინი, ვინც ებრძოდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, მის იდეებს; მაგრამ, სამწუხაროდ, ნუთუ არ იციან, რომ ზვიადის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლაა. ქვეყნის განვითარების კანონზომიერება, ობიექტურობა მოითხოვს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის თარიღად გამოცხადდეს 9 აპრილი.

დღეს, როცა საქართველოს ხელისუფლება ყოველ თავის წარუმატებლობას რუსეთს აბრალებს, მისკენვე იშვერს თითს მაშინაც, როცა **"ანტიმეგრულ"** ლაშქრობას იწყებს.

ჟურნალისტი ვანო პავლიაშვილი 2005 წლის ბოლოს აღნიშნავდა: **"მეგრული ნაციონალიზმის"** შემოგდება სცადეს, მაგრამ უშედეგოდ. მათ უნდოდათ **"მეგრული საქმის აღორძინება"**.

ებრძვიან კოლხეთს, მის წარსულს, ისტორიას, ენას. კოლხეთს ჩვენი სამყაროს უძველეს ქვეყნად არ თვლიან. ამით ჩრდილს აყენებენ საქართველოს სახელოვან წარსულს, რითაც სარგებლობენ სხვები და რეგიონში პირველობას იჩემებენ.

2004 წელს გამოვიდა ჩემი პატარა 90-გვერდიანი ბროშურა **"ძველი კოლხეთი – კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი"**. არ გასულა ერთი წელიც და სომეხმა მეცნიერებმა გამოსცეს წიგნი, რომელშიც სომხეთს **"მსოფლიო ცივილიზაციის აკვანი"** უწოდეს.

ზოგიერთს **"არ სჯერა"**, რომ კოლხეთი (იგივე საქართველო) მსოფლიოს უძველესი და უპირველესი ქვეყანა იყო, რომ მეგრულ-ლაზური ენა კაცობრიობის პირველი ენაა, რომ წინაბერძნული მოსახლეობა კოლხურ-პელაზგური იყო, რომ **"შუმერების"** მოსვლამდე მცხოვრები ხალხები მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხები იყვნენ, რომ კოლხეთს ვრცელი ტერიტორიები ეკავა ტუაფსედან და დნესტრისპირეთიდან ნილოსამდე და სუდანის არაბ ქალდებამდე, მეწამული ზღვიდან კასპიის ზღვამდე, სამეგრელოს ყურიდან (დღევანდელი სპარსეთის ყურე) ჩრდილოეთ ინდოეთამდე (იხილეთ ჰეროდოტე, დიეგო დე ლანდა, ბ. დე ბურბო, იგნატოს დონელი, ვლადიმერ ალფენიძე, ზურაბ ქაფიანიძე, ნათელა ფოფხაძე, ინდიკო კვეკვესკირი, ბადა სოფია და სხვები).

მხოლოდ ორიოდ მაგალითა მოვიშველიებთ. საფრანგეთის ცნობილი მეცნიერი ედუარდ დემოლინსი წერს:

**"ეგეოსიდან თუ ზევით ავიწევთ, ვხედავთ სამხრეთ გერმანიას, საფრანგეთს... ეს ადგილები ეკავათ იბერებს. ამის კვალი შემონახულია გერმანულ და ფრანგულ ენებში და ამასვე მოწმობს ადგილებისა და მდინარეების სახელები. ეტრუსქები, ისევე როგორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი და კოლხეთმა დაუდო სათავე მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას".**

ხოლო გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი მორტინი ამბობს: **"იბერელები... გახდნენ ბრიტანეთის კუნძულების თანამედროვე მოსახლეობის ერთ-ერთი ძირითადი მამამთავრები, განსაკუთრებით ირლანდიაში, უელსსა და ინგლისის დასავლეთში"**.

გენეტიკური კვლევის შედეგად ამერიკელმა მეცნიერებმა (ბრაიან საიქსის ხელმძღვანელობით) აღმოაჩინეს, რომ ევროპელთა დიდი ნაწილის წინაპრები კავკასიიდან არიან წამოსულები. უძველეს დროს კი მთელი კავკასია კოლხეთის ტერიტორიად მიაჩნდათ (ჰეროდოტე, ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნე, და სხვებს).

დადასტურებულია, რომ მრავალი შუმერული სიტყვა, ასევე ტერმინები – ღმერთების, ტაძრების, ქალაქების, მდინარეების, ლიტერატურული გმირების, არქიტექტურული ძეგლების სახელები ეკუთვნით მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, ე.ი. იხსნება (იშიფრება) მხოლოდ მეგრულ-ლაზურ ენაზე. მაგალითად, შუმერების უდიდესი ღმერთების – ანის, ენლილის, ენქის, ნანას, მარდუკის, ასევე ტაძრების – ვანას, ექურის, ენგურის, ეშარას და სხვათა სახელები იხსნება მეგრულ-ლაზურ ენაზე (ბ. სოფია და სხვები).

მდინარე **"იდგინა"** (ათასობით წლის შემდეგ – ტიგრი – ტიგროსი ეწოდა) და **"ზურანუნი"** (ევფრატი) არ არიან შუმერული სახელები – პირველს ჰქვია დიდა (დედა) მდინარე, მეორეს – მუმა (მამა) მდინარე, აგრეთვე ქალაქების – ერედუს, ბადთიბარას, ლარაქის, ზიფარის (სიფარის), შუნუფაქის (ხუთივე წარღვნამდელი – **"წყარ"** – **"ღვნა"** –ქალაქია), ასევე ურის, ქიშის, ნიფურის, ადაბის და სხვა ქალაქების სახელწოდებების წარმოშობა მეცნიერებს არ ჰქონდათ დადგენილი, აგრეთვე ზუსტად არ არის დადგენილი შუმერების შუამდინარეთში მოსვლის თარიღი და მათ მოავლამდე იქ მცხოვრებ ხალხებს მეცნიერებმა **"პროტოეფრატები"** უწოდეს.

შუამდინარეთში შუმერების მოსვლამდე მცხოვრები ხალხები კოლხური (ქართული) ტომის ხალხები რომ იყვნენ, ამას ისიც ადასტურებს, რომ ძველი წელთაღრიცხვით 3.100 წელს (5.000-ზე მეტი წლის წინ) ამ ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქი კულხა (ათასი წლის შემდეგ – ნომროდი). ქალაქის სახელწოდება ბევრჯერ არის ნახსენები ბიბლიაში, ყურანშიც, ინგლის-საფრანგეთისა და **"კოლუმბიის"** ენციკლოპედიებში, ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიებში. ქალაქი დაუარსებია ერთიანი ქართული სამყაროს მეფეს ანმარეს (ძველი წელთაღრიცხვით 3185-3120 წლები), რომელსაც თანამედროვეებმა დაარქვეს ზეცის კაცი. ის მეფეც იყო და უმაღლესი ქურუმიც. მეფე ანმარეს მმართველობის საბუთები მისივე სურათია, სამეფო გვირგვინით, კვერთხით, გამოქვეყნებული ინტერნეტში არაქართველი ავტორების მიერ (ნ. ფოფხაძე).

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# ევროპას მომავალ ზამთარს უარესი გამყინვარება ელის

რუსეთ-ევროპის ენერგეტიკული პარტნიორობის მორიგი მოლაპარაკება, ფაქტობრივად, უშედეგოდ დასრულდა და თუ მდგომარეობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება, დამდეგ ზამთარს აღმოსავლეთ ევროპას კვლავ ენერგოკრიზისი ელის. თანაც, ეს მხოლოდ ბუნებრივ აირს კი არა, ნავთობსაც შეეხება. ენერგეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელმა პირდაპირ განაცხადა, რომ ევროპის ენერგეტიკულ ქარტიასთან მოლაპარაკება მკვდრადშობილი ბავშვია და ამით მიანიშნა, რომ ევროკომისიასთან ამ საკითხის განხილვასაც კი არ აპირებს. რუსეთი ევროპაზე უკრაინულ-ევროპული პროექტის ოდესა-ბროდის ნავთობსადენის საპირისპირო მიმართულებით ამუშავების გამოა გაბრაზებული. ახლახან ფინეთში ვიზიტისას რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ ძველმა ენერგეტიკულმა ქარტიამ და სხვა დოკუმენტებმა თანამშრომლობის უსაფრთხოება ვერ უზრუნველყო, რის გამოც რუსეთი მათ რატიფიცირებას არ აპირებს. რუსეთმა რატიფიცირებაზე უარი თქვა და თავად მედვედევმა დაუგზავნა, მისი აზრით, რუსეთისათვის მნიშვნელოვან ქვეყნებს ახალი დოკუმენტი. მოსკოვში გამართულ შეხვედრაზე კი ევროპას ამ დოკუმენტის განხილვის ნაცვლად მხოლოდ თავისმართლება უწევდა უკრაინის გაზსატრანსპორტო სისტემის პროექტზე ხელის მოწერის გამო. რუსეთის ვიცე-პრემიერმა იგორ სეჩინმა გარკვევით განმარტა, რომ რაკი ასეა, თუ უკრაინა ვერ შეძლებს, 19,5 მილიარდი კუბური მეტრი გაზით უზრუნველყოს ევროპაში საწვავის ტრანზიტი, 2009 წლის ზამთარი ამ უკანასკნელს წინა ზამთარზე უარესი ელის. ექსპერტების აზრით, ეს რუსეთის ახალი სცენარია ევროპასთან მომავალი ენერგოომის საწარმოებლად. თუმცაღა, ამ ომის თავიდან აცილება შეიძლება. უკანასკნელი სიტყვა ახლა ევროკავშირს ეკუთვნის. რუსეთმა უკვე წამოაყენა თავისი პირობები და ბრძანა, რომ მხოლოდ მათი დაკმაყოფილების შემთხვევაში აიცილებს ევროკავშირი მოსალოდნელ თავისტკივილს. მაგრამ თუ ევროპა უკრაინული ოდესა-ბროდის პროექტის განხორციელებას მაინც გადაწყვეტს, რუსეთი ჩათვლის, რომ ეს კასპიის რეგიონის ნავთობია და მაშინ მთელი სატრანსპორტო ხარჯების დაფარვა ევროპელ მომხმარებლებს მოუწევთ. გარდა ამისა, აუცილებელი იქნება ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების გადაწყობა კასპიის ნავთობის ახალი პარამეტრების შესაბამისად, ეს კი მილიარდობით დოლარი დაუჯდება ევროპას. ყოველივე ამის შესახებ რუსეთმა ევროკავშირს ცალსახად და გახსნილად აცნობა, სეჩინმა კი ბოლოს ისიც დასძინა, – საიდან უნდა მოიტანონ ეს მილიარდობით დოლარი, იმათ იფიქრონ, ვინც ამ პროექტის განხორციელებას აპირებსო. ექსპერტები თვლიან, რომ რუსული არგუმენტები მყარია და ევროპას უკრაინის ამბიციური პროექტების მხარდაჭერის გამო გამყინვარება არ ასცდება. ევროკავშირის წარმომადგენელი ენერგეტიკის საკითხებში ბოლოს იმასღა იხვეწებოდა, რომ დამსხდარიყვნენ და მოელაპარაკათ, მხოლოდ არა ისეთ ატმოსფეროში, რომელიც ხვალინდელი კატასტროფის გარდაუვალობას მოასწავებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლავრენტი ბერია — ქართული გენია

**სერგეი კრემლიოვი**

## ბერია — XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი



ერთი წლის წინ ამ ტრიბუნის ცენტრში სტალინი იდგა.

იგი ხელს უქნევდა მამის მხარზე შემოსკუპებულ ბიჭუნას, რომელც საპირველმაისო კოლონას მოუყვებოდა და ხელის ქნევით ესალმებოდა ბელადს.

ახლა კი სტალინი ცოცხალი აღარ იყო. ამიტომ, მავზოლეუმის ტრიბუნაზე ადამიანები აუცილებლად უნდა გადაადგილებულიყვნენ. სინამდვილეში მოხდა ასეთი გადაადგილება. მაგრამ 1953 წლის მარტის თვეში ტრიბუნაზე მყოფთა მომავალი ბურუსით იყო მოცული. და მათ, ბუნებრივია, აწუხებდათ კითხვა: როგორი იქნება ეს მომავალი?

დღეს ჩვენ ვიცით ამ შეკითხვის პასუხი. 1953 წლის პირველ მაისს კი ტრიბუნაზე მდგომთა შემადგენლობა არაფრით განსხვავდებოდა, მარტში ტრიბუნაზე მდგომთაგან.

მაგრამ, იმავე წლის 7 ნოემბრის დღესასწაულზე ტრიბუნაზე აღარ იდგა ბერია.

26 ივნისს იგი დააპატიმრეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის ივლისის პლენუმზე იგი გარიცხეს პარტიიდან "საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოღალატეობრივი საქმიანობისათვის" და დაადგინეს, რომ გადაეცათ იგი სასამართლოსათვის, როგორც "პარტიისა და საბჭოთა ხალხის მტერი".

ამავე წლის 8 აგვისტოს სსრკ უმაღლესი საბჭოს მერვე სესიამ ბერიას ჩამოართვა დეპუტატის უფლებამოსილება და გაანთავისუფლა იგი ყველა დაკავებული თანამდებობიდან.

ოთხი წელი გავიდა და 1957 წელს ტრიბუნაზე უკვე აღარ იდგნენ "ანტიპარტიული ჯგუფის წევრები" მოლოტოვი, კაგანოვიჩი, მალენკოვი და მათი მხარდამჭერი პერვუხინი და საბუროვი.

მიუხედავად იმისა, რომ საბოლოოდ ჩამოშორდნენ "გამოუსწორებელ" სტალინელთა რიგებს ბულგანინი და ვოროშილოვი, მათ მაინც ვერ შეინარჩუნეს ადგილი ტრიბუნაზე. კიდევ 7 წლის შემდეგ კი ტრიბუნიდან უსახელოდ წავიდა თვითონ ხრუშჩოვიც.

ყველაზე დიდ ხანს – 1966 წლამდე მიქოიანმა გასძლო.

ერთნი მიდიოდნენ ტრიბუნიდან, მათ ადგილს კი სხვები იკავებდნენ. იცვლებოდა ნომენკლატურული კონიუნქტურა, იცვლებოდა ტრიბუნის ცენტრში მდგომთა პოლიტიკური სიმპატიებიც. ქალაქ ლუგანსკს, რომელსაც 1935 წელს ვოროშილოვგრადი ეწოდა, 1958 წელს დაუბრუნეს ძველი სახელწოდება, რათა 1970 წელს კვლავ ვოროშილოვგრადი დაერქმიათ. ახლა იგი კვლავ ლუგანსკია. იგივე დაემართა რიბინსკსაც, რომელსაც ჯერ შჩერბაკოვი უწოდეს, შემდეგ კვლავ რიბინსკი, შემდეგ – ანდროპოვი, დაბოლოს ისევ რიბინსკი.

მაგრამ 1953 წელს გამქრალი ბერიას სახელი ქვეყანას არასოდეს დაბრუნებია.

მხოლოდ "პერესტროიკის" შემდეგ ამოტივტივდა ბერიას სახელი, მაგრამ მას წამსვე მიაკერეს "პირსისხლიანი ტირანისა და ტოტალიტარიზმის აპოლოგეტის" ეტიკეტი.

და რა მოხდებოდა მაშინ, თუ ბერია არ დასტოვებდა ტრიბუნას და მის ცენტრში მყარად დაიკავებდა ადგილს? და თანაც დიდი ხნით დაიკავებდა. იგი ხომ შესანიშნავი მოყვარული სპორტსმენი გახლდათ, არ ეწეოდა, არ სვამდა და... ჭორების მიუხედავად, არც ქალებთან დადიოდა. ასე რომ, მას ხანგრძლივი სიცოცხლე გარანტირებული ჰქონდა.

თუნდაც 77 წლის სიცოცხლე.

ასე რომ, იცოცხლებდა 1976 წლამდე, როცა ლეონიდ ბრეჟნევს მეორედ მიანიჭეს საბჭოთა კავშირის გმირობა (სულ ოთხგზის გმირი იყო) და მარშლის სამხედრო წოდება.

მაგრამ ბერია უკვე დაპატიმრებული და დახვრეტილი იყო. თუ როგორ მოხდა ყოველივე ეს, არსებობს რამდენიმე ვერსია, რომელთა გარჩევას მე აქ არ შევუდგები. მე მხოლოდ მინდა მკითხველს გავაცნო ერთი იმ წერილთაგანი, რომელიც ბერიამ დაპატიმრების შემდეგ დაწერა.

საერთოდ, მან უმაღლესი თანამდებობის პირ მეგობრებს სამი წერილი მისწერა, რომელთა რეალობას ეჭვის ქვეშ აყენებენ ი. მუხინი, ე. პრუდნიკოვა და, ნაწილობრივ, ლავრენტის შვილი სერგო ბერიაც, რომელიც ამტკიცებს, რომ მამამისი დახვრიტეს საკუთარ ოჯახში, დაპატიმრებისას. მაგრამ მე ეჭვი არ მეპარება "ბუნკერიდან გამოგზავნილი" წერილების რეალობაში. და თუ რატომ ვარ დარწმუნებული, ამას მოგვიანებით მოგახსენებთ. ახლა კი გავეცნოთ წერილს, რომელიც ბერიამ მალენკოვს გაუგზავნა.

1953 წლის 1 ივლისით დათარიღებული წერილი ხუთ გვერდს მოიცავს. ამიტომ, იგი სრულად არ მომყავს. ტექსტში არის შეცდომები, მაგრამ ეს გასაგებია, რადგან მისი ავტორი ღელავდა და თანაც, ბერია არ გახლდათ ლიტერატორი. აი, წერილის შინაარსი:

"ამხანაგ მალენკოვს!

ძვირფასო გიორგი!

ამ ოთხი მძიმე დღეღამის განმავლობაში სრულად გავიაზრე ყველაფერი, რაზეც თქვენ და პრეზიდიუმის სხვა წევრებმა ილაპარაკეთ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე და მკაცრად გავაკრიტიკე საკუთარი ქმედებები. განსაკუთრებით მიუტევებელია ჩემი საქციელი შენს მიმართ, სადაც მე ასპროცენტიანი დამნაშავე ვარ. მაგრამ მე, სხვა ამხანაგებთან ერთად ყველაფერს ვაკეთებდი საიმისოდ, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ მუშაობა არ ჩაგვშლოდა, რითაც მხარს ვუჭერდი პარტიისა და მთავრობის კურსს..."

აქ აშკარად არ ჩანს ვინმეს გულის აჩუყებისა და საკუთარი თავის გამართლების მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ ლავრენტი ბერია საშინელ პირობებში იმყოფებოდა, მაინც არ იგრძნობა, რომ იგი დათრგუნულია. მის წერილში არ იგრძნობა სიმშვიდეც, მაგრამ, საინტერესოა, რა დაუშავა ბერიამ მალენკოვს ისეთი, რომ საქმე მის დაპატიმრებაზე მიდგა? შემდეგი ტექსტი უკვე საინტერესოა:

"პარტიისა და მთავრობის მითითებათა თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ადგილობრივი ორგანოების გასაძლიერებლად, შენი და ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვის რჩევით, შსს-მ შეიტანა მთავრობაში რამდენიმე პოლიტიკური წინადადება, რაც უაღრესად ყურადსაღებია..."

საინტერესოა, მაინც რა რჩევა მისცეს შინაგან საქმეთა ახალ მინისტრს მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ მალენკოვმა და ცეკას მდივანმა ხრუშჩოვმა?

აი, რა:

"...და რომელიც გამოიხატებოდა ექიმების რეაბილიტაციაში, სამეგრელოს საკითხზე დაპატიმრებულთა რეაბილიტაციაში, საქართველოდან გადასახლებულთა უკან დაბრუნებაში, ამინისტიაში, საპასპორტო რეჟიმის ლიკვიდაციაში, პარტიის ხაზიდან გადახრაში, რაც გამოიხატა ლიტვის სსრ-ში, დასავლეთ უკრაინასა და დასავლეთ ბელორუსიაში გატარებულ ნაციონალურ საკითხსა და დამსჯელ ღონისძიებებში. მაგრამ მაინც სამართლიანია შენი, ნიკიტა ხრუშჩოვისა და სხვა ამხანაგების კრიტიკა, რომელიც ჩემი მისამართით გაისმა ცეკას პრეზიდიუმზე...":

გამოდის, რომ "რეაბილიტაციისა" და "ექიმთა საქმის" ინიციატივის ავტორები, დღემდე არსებული აზრის საწინააღმდეგოდ, ყოფილან ხრუშჩოვი და მალენკოვი, და არა ბერია. გამორიცხულია, რომ მისთვის ასეთ მძიმე ჟამს ბერიას, თავისი კოლეგებისათვის, მათთვის გაგზავნილ წერილში უსაფუძვლოდ მიეწერა ასეთი რამ.

მართალია, ინიციატივათა ნაწილის შსს-ს ახალ მინისტრს ეკუთვნოდა, მაგრამ ისინი ბერიას დახვრეტის შემდეგ "მცდარ მოსაზრებად" იქნა აღიარებული.

ახლა, რაც შეეხება "ექიმების საქმეს", იგი დაიწყო 1952 წელს ლიდია ფეოდოსის ასულ ტიმაშჩუკის წერილით, რომელიც მან ჯერ კიდევ 1948 წელს გაუგზავნა უშიშროების სამინისტროს. 1952 წელს ლიდია ტიმაშჩუკი 54 წლისა იყო. 1926 წელს, სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ იგი კრემლის სამკურნალო-სანიტარულ სამმართველოში მუშაობდა, 1948 წლიდან კი კრემლის საავადმყოფოს ელექტროკარდიოგრაფულ კაბინეტს ხელმძღვანელობდა. 1964 წელს პენსიაზე გავიდა, 1983 წელს კი გარდაიცვალა. "დემოკრატები" ამრეზილად მოიხსენიებენ მას "მედდა ტიმაშჩუკად", მაგრამ, როგორც ჩანს, მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე.

1948 წელს, როცა პრაქტიკული გამოცდილების მქონე ექიმმა ქალმა კარდიოგრამა გადაუღო ანდრეი ანდრეის ძე ჟდანოვს, დაუსვა დიაგნოზი: "მიოკარდის ინფარქტი კუთის მარჯვენა პარკუჭსა და კუჭის ტიხარს შორის". მაგრამ კრემლის პროფესორებმა ვ.ნ. ვინოგრადოვმა, ბ.ხ. ვასილენკომ, პ.ი. ეგოროვმა, მკურნალმა ექიმმა გ.ი. მაიოროვმა და ექიმმა-დიაგნოსტიკმა ა.ე. კარპაიმ განაცხადეს, რომ არაფერი სერიოზული არ მომხდარა.

ჟდანოვს, სხვათა შორის, ადრეც "მკურნალობდნენ", მაგრამ ეს "მკურნალობა" წმინდა წყლის დანაშაული იყო. თუ არა სახელმწიფოებრივი, საექიმო დანაშაული მაინც. ასე მაგალითად, მაიოროვმა ავადმყოფის მოვლა მთლიანად მედდას გადააბარა, თავად კი საათობით ტბის ნაპირზე იჯდა და თევზაობდა. ეს ამბები ხომ ვალდაიში ხდებოდა.

არც თუ კარგად მოიქცა კრემლის მთავარი თერაპევტი ვინოგრადოვიც. სიტყვა "თერაპია" ლათინურ ენაზე "მოვლას" ნიშნავს. მაგრამ იგი მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე, რედაქტორობდა ჟურნალ "თერაპევტულ არქივს", ხელმძღვანელობდა თერაპიის ინსტიტუტის განყოფილებას და მთელი გულისყური იქით ჰქონდა მიპყრობილი...

პროფესორმა ეგოროვმა 1948 წლის 28 აგვისტოს დანიშნულებაში ჩაწერა: "რეკომენდაცია ეძლევა... იმოძრაოს უფრო აქტიურად, 1 სექტემბრიდან ეძლევა მანქანით გადაადგილების უფლება, 9 სექტემბერს გადაწყდება მისი მოსკოვში გამგზავრების საკითხი".

მაგრამ ანდრეი ანდრეს ძე ჟდანოვი უფრო ადრე "წაიღეს" მოსკოვში, რადგან 31 აგვისტოს იგი გარდაიცვალა.

ექიმის შეცდომა საშინელებაა, მით უმეტეს, რომ აპარატმა ჩამოყალიბებული ინფარქტი აჩვენა. ან როგორ შეიძლებოდა, არ დაეჯერებინათ ექიმი ქალისათვის. რომელსაც, მართალია დიდი თანამდებობები არ ეკავა, მაგრამ თავისი საქმის უბადლო მცოდნედ ითვლებოდა.

ტიმაშჩუკმა წერილით მიმართა უშიშროების სამინისტროს დაცვის სამმართველოს უფროსს ვლასიკს. 1948 წელს კი პროფესორმა ეგოროვმა თავის კაბინეტში თათბირი ჩაატარა, სადაც ტიმაშჩუკი მოიხსენია უღირს ექიმად და საზოგადოებისათვის უცხო ელემენტად. მათთვის ტიმაშჩუკი მართლაც საშიში იყო, რადგან ყველა გარეწარისათვის წესიერი ადამიანი უაღრესად საშიშია. ეგოროვს კი მხარი დაუჭირეს ვინოგრადოვმა, მაიოროვმა, კრემლის საავადმყოფოს პათოლოგოანატომმა ფიოდოროვმა, პროფესორმა ვასილენკომ.

ვინოგრადოვს მაშინ ჯერ კიდევ ენდობოდა სტალინი (იგი ბელადს თეირანის კონფერენციაზეც კი ახლდა) და მაშინ ტიმაშჩუკის წერილი მიაფუჩეჩეს. ვინოგრადოვმა საბჭოთა კავშირის ჯანდაცვის მინისტრს განუცხადა: "ან მე ვიმუშავებ კრემლის საავადმყოფოში, ან ეგ ქალი!"

სამწუხაროდ, ტიმაშჩუკი კრემლის საავადმყოფოს ერთ-ერთ ფილიალში გადაიყვანეს.

მაგრამ, კრემლის საავადმყოფოში ექიმთა "შეცდომები" გახშირდა, რასაც ხალხი ეწირებოდა. ამიტომ, ტიმაშჩუკის წერილი 1952 წელს არქივიდან ამოაძვრინეს, ქალი კი 1953 წლის 21 იანვარს ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

ამ დროს, ლუბიანკაში დაკითხვაზე უკვე ისხდნენ პროფესორები ვინოგრადოვი, ეგოროვი, ვასილენკო, ვოვსი, კოგანი, გრინშტეინი, ფელდმანი, ტიომკინი...

როცა 1952 წლის 4 ნოემბერს ოპერმუშაკები ვინოგრადოვის ოჯახში მის დასაპატიმრებლად მივიდნენ, ისინი გააოცა სიმდიდრემ. სახლი ისეთი ძვირფასი, უნიკალური ავეჯით იყო გაწყობილი, რომ ერთ-ერთი უმდიდრესი მუზეუმი გეგონებოდათ. კბინის ედლებს ამშვენებდა რეპინის, შიშკინისა, ბრიულოვისა და სხვა რუსი დიდოსტატების მიერ შესრულებული ნახატებით.

ვინოგრადოვი იყო წარსულიდან შემორჩენილი ტიპიური ბურჟუა, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს უნდა გაესრისათ.

მაშინ ხომ ანდრეი ანდრეის ძე ჟდანოვიც გადარჩებოდა!

მაგრამ, 1953 წელს მთელი ეს ექიმთა ხროვა გაამართლეს დიდი აურ-ზაურით, თუმცა, საბჭოთა სამართალდამცავ ორგანოებს რატომღაც "დაავიწყდათ", რომ ვინოგრადოვი თუ დამნაშავე არ იყო როგორც ექიმი, რომელმაც სიცოცხლე მოუსწრაფა გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, იგი უეჭველი დამნაშავე იყო, როგორც ბურჟუა, რომელიც საკუთარ ბინაში მალულად ინახავდა ოქროს, ძვირფასეულობას, დოლარებს...

არავინ დაფიქრებულა, თუ რაში სჭირდებოდა ვინოგრადოვს ბრილიანტები და ამერიკული დოლარები. ხომ არ ელოდა იგი "უკეთეს დროს", იმის იმედით, რომ მალე საბჭოთა კავშირში დიდი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები მოხდებოდა, თუნდაც ისეთი, როგორიც 1991 წელს მოხდა?

ხომ არ ცდილობდა იგი ამგვარ მოვლენათა დაჩქარებას საკუთარი, მართლაც მტრული გეგმებით?

მაგრამ მაშინ, საბჭოთა კავშირში, ამისათვის არავის სცხელოდა – ყველანი ზეიმობდნენ "ულმობელი" ბერიას ჩამონარცხებას, რომელიც ახლა მოსკოვის სამხედრო ოლქის ბუნკერში ელოდა სასჯელს.

/გაგრძელება შემდეგ ნომერში/

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სამეგრელოს საამაყო შვილები

# სიცოცხლის ფორმულა



*ჩვენი წერილის მთავარი გმირია საქართველოს სამედიცინო რადიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს რადიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო რადიოლოგიისა და ენდოსკოპიის კათედრის გამგე, აკადემიკოსი, საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი ფრიდონ თოდუა.*

*ჩვენ რამდენჯერმე შევხვდით ბატონ ფრიდონს და მისგან მაქსიმალური ინფორმაციის მიღების მიზნით პრივატული საუბრები გავმართეთ. სუტყვაძუნწიაო, ამას ფრიდონ თოდუაზე ვერავინ იტყვის, მაგრამ, საკუთარ პერსონასა და დამსახურებებზე საუბარი ნამდვილად არ უყვარს. დიდი წვალებით ვახერხებდით დაგვეტყუებინა მისთვის აუცილებელი თემები. პირველივე შეხვედრისთანავე ვიგრძენით, რომ მას საერთოდ არ უყვარს წარსულზე საუბარი და უფრო გვიზიარებდა ხალისიანად საკუთარ სამომავლო აზრებს. აქედან გაჩნდა ჩვენი პირველი შეკითხვა:*

– დიდი ახსნა არ სჭირდება იმ ფენომენს, რომ საზოგადოების ინტერესი უფრო პრაგმატულ, ე.ი. ონტოლოგიურ სფეროს განეკუთვნება და ამოუცნობი არაფერია იმაში, რომ ხალხი იცნობს და აღიარებს პრაქტიკოს მკურნალს ფრიდონ თოდუას, რომელსაც უამრავი სიცოცხლე გადაურჩენია და გაუხანგრძლივებია. მაგრამ, საზოგადოება აქტუალურად მიიჩევს არა იმას, თუ რამდენ დაავადებას გაუმკლავდით და რამდენი სიცოცხლე გადაარჩინეთ, არამედ იმას, თუ რამდენ დაავადებას გაუმკლავდებით და რამდენ სიცოცხლეს გადააარჩენთ მომავალში. როგორც ამბობენ, დიდი მადლობა ქმნილი სიკეთისათვის, მაგრამ, რას გვპირდებით მომავალში?

– თქვენი შეკითხვის მართებულობა ეჭვს არ იწვევს. ერთხელ, არ ვიცი, შემთხვევით თუ კანონზომიერად ერთ-ერთ ამერიკელ იმიჯმეიკერს შევხვდი, რომლის რჩევებმაც დიდი წარმატებები მოუტანა არჩევნებში ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის რამდენიმე პირველ პირს. იცით რა იყო მისი უმთავრესი სამოქმედო სტრატეგია? არასოდეს ესაუბრო საზოგადოებას უკვე გაკეთებულ საქმეზე, რადგან, ყველაზე თავშეკავებული ფრაზეოოლოგიით საუბრის მიუხედავად, წარსულ დამსახურებებზე ლაპარაკი მაინც ტრაბახის ელფერს იძენს. ადამიანებს ყოველთვის იმაზე უნდა ესაუბრო, რას გაუკეთებ და რა სიკეთეს მოუტან მათ მომავალში. ეს კარგად უნდა ახსოვდეს არა მარტო პოლიტიკოსს, არამედ ექიმს, ინჟინერს, იურისტს, მრეწველს და სხვა დარგების წარმომადგენლებსაც.

ამჟამად კი მართლაც ჰაერივით სჭირდება საქართველოს მოსახლეობის შუა ხანს გადაცილებული ფენას (ვინც საკმაოდ ხშირად იმყოფება სამედიცინო დახმარების იმედზე) გამხნევება და უტყუარ სამომავლო გეგმებზე საუბარი, რადგან, ადამიანთა ეს წრე კომუნისტური პერიოდის სოციალურ გარანტიებს არის დაჩვეული. ჩვენ ველური კაპიტალიზმის საბაზრო ეკონომიკამ ვაჭრობის გარდა ვერაფერი ვერ გვასწავლა და ვერც ეკონომიკაში გატარებულმა "შოკურმა თერაპიამ" მოგვცა რეალური შედეგი. ფრიდონ თოდუას უპირველესი საფიქრალი ახლა ის არის, რომ ჯანდაცვის სისტემა ხელმისაწვდომი გახდეს სოციალურად და ეკონომიკურად დაუცველი მოსახლეობის ფართო ფენისათვის.

– ამას კი სჭირდება სოციალური დაზღვევების მძლავრი ქსელის შექმნა და ამოქმედება. ამავე დროს, აუცილებელია, რომ მოსახლეობაში დავნერგოთ ამაღლებული, ბედნიერი მომავლისადმი დაიმედებული რწმენა. გაიხსენეთ აბელ არავიძის სიტყვები კინოფილმ **"მონანიებიდან": "ურწმუნო ადამიანი მარტოობისას მხოლოდ სიკვდილზე ფიქრობს"**. ურწმუნოებაში მე ქართულ საზოგადოებას ვერ დავადანაშაულებ, მაგრამ, ისიც ფაქტია, რომ მარტოობაში ძალიან ბევრი მათგანი იმყოფება, რადგან მათი შვილები, შვილისშვილები და ახლობლები უცხოეთში არიან გადახვეწილები ლუკმაპურის საშოვრად. გასაკვირი არ არის, რომ მორწმუნე ადამიანმა მარტოობაში მხოლოდ მოსალოდნელ დაავადებაზე იფიქროს და უნებლიედ დაიტეხოს თავს ღვთის რისხვა. ამიტომ უნდა გავუქარწყლოთ საზოგადოებას მარტოობის განცდა, დავარწმუნოთ თითოეული ადამიანი, რომ დღევანდელი დღე სჯობია გუშინდელს, ხვალინდელი კი უფრო უკეთესი იქნება. ბოლოს და ბოლოს, ჩვენმა თაობამ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეში ამოჰყო თავი, რაც სრულიადაც არ გახლავთ მარტივი პროცესი და სიტუაციის დალაგებას ზოგჯერ ათწლეულები სჭირდება. არც მთლად ხუმრობით ვიტყვი, რომ კარლ მარქსმა მთელი მოძღვრება შექმნა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის თაობაზე, რამაც მნიშვნელოვნად გაუადვილა ბოლშევიკებს საბჭოთა კავშირში სოციალიზმის აშენების საქმე. მაგრამ, არავის არასოდეს შეუქმნია სოციალიზმიდან კაპიტალიზმში გადასვლის კონცეფცია და ისეთი ბრძნული ქვეყანაც კი, როგორიც ჩინეთია, უკვე ოცდამეათე წელია იბრძვის იმისათვის, რომ მილიარდნახევრიანი ქვეყანა უმტკივნეულოდ გადაიყვანოს სოციალიზმიდან კაპიტალიზმში. ჩვენ კი, რამდენიმე წელიწადში გვინდა ახალი სამყაროს დამკვიდრება. გავიხსენოთ ჩვენი საყვარელი პოეტის მუხრან მაჭავარიანის სიტყვები: **"ქვეყნად ყველაფრის დავარგებას სჭირდება ხანი..."**

ფილოსოფოსები ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი პირობითია, პირობითია ჩვენი ყოფნა-არყოფნა, პირობითია ისეთი დაუჯერებელი ნაგებობების არსებობაც კი, როგორიცაა ეგვიპტური პირამიდები, ჩინეთის დიდი კედელი და სხვა საოცრებები, ასევე პირობითია ადამიანის შესაძლებლობები, თუნდაც ღვთის კარნახითა და დიდოსტატების ხელით შექმნილი უკვდავი ქმნილებებიც კი, და, რაც მთავარია, პირობითია ღვთის წყალობის მოლოდინიც. გენიალური ფრანგი მოაზროვნე და ფილოსოფოსი ბლეზ პასკალიც ხომ ამტკიცებს, რომ სამყარო მოწესრიგებული ქაოსიაო.

ადამიანები ელტვიან კაცობრიობის სულიერი ცხოვრების ფაქიზი შრეების შემეცნებას. ფილოსოფოსთა თვალით რომ შევხედოთ ამა ქვეყნის ამაოებას, საკმაოდ მარტივ ფორმულას მივიღ**ებთ უაღრესად რთულ განზომილებაში: "რწმენა... ადამიანი და ღმერთი... ადამიანი და ის, რაც ადამიანის გარეთ არსებობს... რწმენა... ადამიანობის ქვაკუთხედი..."** კაცობრიობის მოდგმის სარბიელზე გამოდის ახალი ადამიანი, რომელიც უკავშირდება და შეიმეცნებს არა მხოლოდ გარე სამყაროს, არამედ საკუთარ თავსაც, აღმოაჩენს საკუთარი არსების სიღრმეში პიროვნებას.

სიყვარული და სიძულვილი ადამიანური სრულქმნისა და სათნოების ფენომენის ლაკმუსია. სიძულვილი, თავისთავად, რეგრესული მოვლენა გახლავთ – დამანგრეველი ძალა, რომელსაც ცივილიზაციის აღგვაც კი ძალუძს. სიყვარული კი არის ნიადაგი, რაზეც სიცოცხლე საზრდოობს. ამიტომ, რაც სრულქმნისა და სათნოების თვისებებს ატარებს, გამოხატავს სიყვარულის სახებას, რისი ამოცნობის ნიჭსაც ღმერთუ უძღვნის ადამიანება.

მოსწრებულად ამბობენ რუსები – ღვთის იმედად ყოფნა აუცილებელია, მაგრამ, არც შენ უნდა ჩამოუშვა ხელები და დღემუდამ ციური მანანას მოლოდინში არ უნდა იდგე ზეცისაკენ სახეაპყრობილი... მაგრამ, აქ უკვე, ჯობს რომ ორი ბოლო გვაქვს, ის ქართული ხალხური ანდაზა უნდა გავიხსენოთ, – ჩვეული სიდინჯით გვიხსნის ბატონი ფრიდონი, – რა ჰქნას ექიმმა, რომელსაც ავადმყოფის მკურნალობისათვის აუცილებელი პრეპარატები და სამედიცინო მოწყობილობა არ გააჩნია. თუ იგი ავადმყოფს მიიღებს, უკვე პასუხისმგებლობას იღებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მე პროფესიული თვალით ვააანალიზებ ყოველ ტრაგიკულ შემთხვევას და იმის უფლებას ვიტოვებ, დავასკვნა, რომ უმეტეს შემთხვევაში ავადმყოფი იღუპება არა ექიმის არაკომპეტენტურობის, არამედ იმის გამო, რომ ექიმს არა აქვს მის დაავადებაზე ზემოქმედებისათვის აუცილებელი პრეპარატურა და სხვა მატერიალური ბაზა...

– მსოფლიოს წამყვან პოლიტიკოსებს ვმკურნალობდი, – მოგვითხრობს ბატონი ფრიდონი – შეიძლება, ახლა ისიც მკითხოთ, რატომ ჩამოხვედით საქართველოში, მოსკოვში ხომ არც კლინიკა გაკლდათ, არც გავლენა და არც პატივისცემაო. ეგრეთწოდებულ კრემლის საავადმყოფოში სტრატეგიული განყოფილება, კომპიუტერული ტომოგრამის ცენტრი იყო, სადაც რამდენიმე წელიწადი მთავარი კონსულტანტი გახლდით. პოპულარულიც ვიყავი და მატერიალურად მაღალ დონეზე უზრუნველყოფილიც. მაშინ დავიწყე საქართველოში დაბრუნებაზე ფიქრი. როდესაც ზვიად გამსახურდია მოვიდა ხელისუფლებაში, იყო შემოთავაზება, რომ სამშობლოში დავბრუნებულიყავი. ბევრი დაპირებაც მივიღე, მაგრამ, გახსოვთ, როგორ ტრაგიკულად განვითარდა მოვლენები. 22 ადამიანი ჩამოვედით ბატონი ზვიადის თხოვნით, მაგრამ, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, ჩემს გარდა, ყველა უკან დაბრუნდა. საერთოდ, პრინციპული ადამიანი ვარ და ერთხელ მიღებულ გადაწყვეტილებას არ ვცვლი ხოლმე.

ფრიდონ თოდუაზე კარგად ვინ იცის, თუ რამდენი უბედურება გადაიტანა სამეგრელომ უკანასკნელ წლებში. აფხაზეთის ამბები, რომელმაც ზუგდიდს ადგილობრივ მოსახლეობაზე მეტი ადგილნაცვალი ადამიანი შესძინა, რომლებიც სეპარატისტთა მიერ იქ გაჩაღებულ ომამდე მშვიდობიანად და ბედნიერად ცხოვრობდნენ მშობლიურ აფხაზეთში. სამოქალაქო ომზე საუბარი და მისი საშინელებების გახსენება ხომ აღარავის სურს...

ფრიდონ თოდუას დედა ამჟამად ზუგდიდში ცხოვრობს და მშობლიურ კუთხეს ვერ ელევა. ფრიდონმა კარგად იცის, რომ სამეგრელოს დღესაც საკმაოდ უჭირს, რადგან ზოგიერთ არაკეთილსინდისიერ პოლიტიკოსთა შეგნებული მტრობისა თუ უმეცრების წყალობით ერთ დროს ქვეყნის სასიცოცხლო არტერიაზე მდებარე აღორძინებული კუთხე ამჟამად გეოპოლიტიკურ ჩიხად არის ქცეული და ეკონომიკურ კოლაფსში იმყოფება. ნადგურდება ჩაის პლანტაციები, რომელიც ადრე მთლიანად საქართველოს ეკონომიკური აღმავლობის ქვაკუთხედს წარმოადგენდა. და ეს მაშინ, როცა ჩვენმა გეოგრაფიულმა მეზობელმა და ეკონომიკურმა პარტნიორმა თურქეთმა უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში 250.000 კვადრატულ კილომეტრზე გააშენა ჩაის პლანტაციები. ნუთუ, არ შეიძლებოდა, რომ თუნდაც მათთვის გადაგვეცა მოსავლელად ჩვენი ჩაის პლანტაციები, რომლებიც უფრო ნაკლები დანახარჯებით შესძლებდნენ ჩაის ინდუსტრიის შენარჩუნებას, მის შემდგომ განვითარებას და საქართველოში ახალი სამუშაოების შექმნას.

დღევანდელი ქართული პოლიტიკური სპექტრი სათანადო ყურადღებას არ აქცევს ფრიად სავალალო გარემოებას. კერძოდ იმას, რომ უკანასკნელ ხანს ძალზე გაუარესდა საქართველო-რუსეთის ურთიერთობები. ძალზე სამწუხარო და დამაფიქრებელია, მაგრამ ფაქტია – საქართველოს ხელისუფლების სათავეში მყოფი ზოგი პოლიტიკოსის სიხისტეზე და არაშორსმჭვრეტელობაზე მეტყველებს ის მოვლენა, რომ დღეს საერთოდ იგნორირებულია სახალხო დიპლომატია, რომლის ფონზე მართლაც უამრავი სასიკეთო საქმის ქმნა ძალუძთ როგორც მსოფლიო მედიცინის ღირსეულ წარმომადგენელს ფრიდონ თოდუას, ასევე ქართული სამედიცინო და შემოქმედებითი ინტელიგენციის სხვა ღირსეულ წაევრებს და მოწინავე პიროვნებებს. განა დანაშაულის ტოლფასი არ არის, რომ ქვეყანა არ იყენებს იმ ვეებერთელა ავტორიტეტს, რომელიც ფრიდონ თოდუას გააჩნია რუსეთის პოლიტიკურ და საქმიან წრეებში? იგი ხომ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში დააჯილდოვეს სპეციალური დიპლომითა და მედლით „რუსეთის სახალხო მედიცინის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული დამსახურებისათვის".

– ჩვენ ისე დაგვემართა, ქართველები რომ იტყვიან სინანულით – "კაცს დედა არ უყვარდა და დედინაცვალს იფიცებდაო". ვერ გამიგია, რა გვაქვს ისეთი საერთო ამერიკასთან, რაც რუსეთთან არ გაგვაჩნდა. განა ძნელბედობის ჟამს რუსეთთან გაერთიანებამ არ გადაარჩინა საქართველო როგორც სახელმწიფო და ეთნიკური ფენომენი? მეორეც, თუ რუსული ხელოვნების, ლიტერატურის, კულტურისა და სხვა კლასიკური სისტემებით ვიზრდებოდით ქართველები, ცუდები ვიყავით? ან ჩვენზე კარგად იზრდებიან დღეს ჩვენი მომავალი თაობები? როგორ დავიჯერო, რომ რუსულ კლასიკას ის ამერიკული სუროგატი ჯობია, რომელიც ძალადობას, სისასტიკეს, ჰომოსექსუალიზმს და გარყვნილებას ნერგავს უძველესი ტრადიციებისადმი პატივისცემით გამსჭვალულ ქართულ საზოგადოებაში. ასე ხომ მალე დავკარგავთ ახალგაზრდა თაობებს. კი ბატონო, შეიძლება ზოგიერთმა რუსმა პოლიტიკოსმა დანაშაულებრივი შეცდომა დაუშვა საქართველოს მიმართ, რაც ავ ბედისწერად ექცა სრულიად უდანაშაულო მშვიდობიან ქართულ მოსახლეობას. მაგრამ, არ შეიძლება, რომ ზოგიერთი გამონაკლისი ბოროტი და ანგარებიანი ხელისუფლის ავკაცობის გამო მთელი რუსეთი შევიძულოთ და უარი ვთქვათ მათთან მრავალსაუკუნოვან ურთიერთობებზე. ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკაში დასაქმებული ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომები კვლავ ადამიანებმა უნდა გამოასწორონ. ჩვენ კი, აშკარად არ ვაძლევთ ამის საშუალებას ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ რუს პოლიტიკოსებსაც კი. განა ჭეშმარიტებას არ ღაღადებს ბატონი ფრიდონი?

**როლანდ შალამბერიძე**

### ციტატა-შეხსენება

...მე ამ ომმა (აფხაზეთის – რედ.) ბევრი უახლოესი ადამიანი დამაკლო, სამშობლო წამართვა, ის სახლ-კარი გადამიბუგა, სადაც ჩემი მამა-პაპა ცხოვრობდა, რომელშიც მე და ჩემი ძმა გავიზარდეთ; ომმა ჩემი წინაპრების საფლავთა ნახვის საშუალებაც კი წამართვა. იმის გამო, რომ "შევარდნაძის არწივები" გაიქცნენ, უკან დატოვეს რა მშვიდობიანი მოსახლეობა, ჩემი სამოცდაათი წლის დედა, რძალი მშიერ ბავშვებთან ერთად რამდენიმე დღეღამე ფეხით მთებზე გადმოდიოდნენ. ამ დროს კი გენერლის ფორმაში გამოწყობილი არარაობები თავიანთ "მთავარსარდალთან" ერთად ტელევიზიის ეკრანიდან ჩიოდნენ, თუ როგორ უღალატეს ზვიადისტებმა, აწყენინეს რუსებმა და რა ფანატიკოსები აღმოჩნდნენ, თურმე, ჩეჩნები..."

**ალექსანდრე ჭაჭია, 1997 წლის ივნისი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამის დაკარგვის, ან დავიწყების უფლება არც რუსსა აქვს და არც ქართველს!



## (ნაწყვეტები ვასილ ველიჩკოს წიგნიდან "კავკასია")

*1904 წელს, ამ წიგნის ავტორის ვასილ ველიჩკოს გარდაცვალების შემდეგ, მისი მოსწავლეების მიერ „კავკასიის“ წიგნად გამოცემამ ძალზე ააფორიაქა მთელი პლანეტის სომხური მოსახლეობა. ინგლისში მცხოვრებმა სომეხმა დიდვაჭარმა გულბეკიანმა იმ დროისათვის ზღაპრული თანხა – ხუთი მილიონი ფუნტი სტერლინგი (დღევანდელი კურსით, დაახლოებით სამასი მილიონი დოლარი) – გადაიხადა, რათა ამ წიგნის მთელი ტირაჟი გაყიდვიდან ამოეღოთ და გაენადგურებინათ, მაგრამ, როგორც ხედავთ, ვერაფერს გახდა. თუმცა, სომხებმა ნაწილობრივ მაინც მიაღწიეს საწადელს, რადგან წინამდებარე წიგნი გახლავთ ვასილ ველიჩკოს მთლიანი ნაშრომის პირველი ტომი, მეორე ტომი კი, საერთოდ აღარ გამოსულა და, ჩვენი დიდი ძიების მიუხედავად, მაინც ვერ მოვახერხეთ მისი პოვნა. როგორც ჩანს, ამ ტომის ხელში ჩაგდება და განადგურება გარკვეული საზღაურის ფასად მაინც მოახერხეს სომხებმა.*



სომეხი ხალხის დაუპატიჟებელ მეურვეთა ოცნება ავტონომიური "სამეფოს" ჩამოყალიბების თაობაზე, და ისიც მხოლოდ რუსეთის ფარგლებში, კი არ ქრება, არამედ სულ უფრო ღვივდება. თურქეთში არ იყო საამისო ტერიტორია – და იგი ხელოვნურად იქმნება კავკასიაში. თურქეთიდან წამოსული ათიათასობით ემიგრანტი იჭრება ჩვენს საზღვრებში, ჩვენი ჯარისკაცები კი ტყვიებს არ უშენენ ამ "მშვიდობიან" ბრბოს, იმიტომ, რომ სომხები წინა რიგებში ქალებსა და ბავშვებს აყენებენ. არავითარ "თურქულ მხეცობას" ადგილი არ ჰქონია და არა აქვს, თურქეთის მთავრობა კი ქვეყნიდან გაქცეულ ხალხს უკან აღარ აბრუნებს. ბევრი მათგანი უარს აცხადებს რუსეთის მოქალაქეობის მიღებაზე და შემდეგ ყველა, რაიმე გამონაკლისის გარეშე, მიდრეკილებას იჩენს მაწანწალობისადმი, ავადდება გადამდები სნეულებებით და სჩადის ველურ დანაშაულს.

ამიერკავკასიაში მცხოვრები უბრალო სომეხი ხალხი, რომელთა ზნეობა შედარებით შერბილდა რუსეთში რამდენიმე ათეული წლის ყოფნის შემდეგ, თურქეთიდან თავიანთ თანამემამულეთა ამგვარ მოზღვავებას დიდ უბედურებად მიიჩნევს.

ადამიანებს მიწა სჭირდებათ – და ყოველივე ის, რაც არის კავკასიაში და რუსულ დედაქალაქებში სომხების ზემოქმედებისათვის ხელმისაწვდომი, ამ მიწებს განაკუთვნებენ სომხებს და ამით ეწინააღმდეგებიან რუსულ კოლონიზაციას, იმისდა მიუხედავადაც კი, რომ მხარეთა უფროსებმა, მისი უმაღლესობის ხელდასხმით, კოლონიზაცია ღიად შეიტანეს საკუთარ პროგრამაში.

ჩვენ ენაზე, სიტყვა – "ეწინააღმდეგება" ნიშნავს, რომ იგი "არ ეთანხმება". კავკასიაში კი სიტყვა "ეწინააღმდეგება" იძენს საშინელ, ველურ მნიშვნელობას, რომლისაგანაც ადამიანს თმები ყალხზე დაუდგება. დუხობორულ საკითხებზე რამდენიმე წლის ფიქრისა და ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე და პირველწყაროებიდან ფაქტების შეგროვებით, მე, თუ შეიძლება ითქვას, მთელი სულიერი ძალების გამოყენებით მივედი იმ დასკვნამდე, რომ დუხობორული მარტიროლოგის (წამებულთა ცხოვრების აღწერა) სიგიჟისა და დაღუპვის საწყისად სწორედ სომხური ინტრიგა იქცა, რომლის მიზანიც მათ მიწებზე თურქეთიდან გადმოხვეწილი სომხების ჩასახლება იყო. ერთი ნაწილი მოსამსახურე ჩინოვნიკების დანაშაული, მეორე ნაწილის შეცდომა, ტოლსტოვშჩინის სენტიმენტალურ-არაადამიანური ბოდვები და ა.შ. – ყველა ეს ფაქტორი უკვე შემდგომია და არა მთავარი. საბედნიეროდ, სომხური პოლიტიკის ეს მიზანი მიღწეული იქნა მცირე მასშტაბით, ძალისა და სხვა შემოსავლელი გზების გამოყენებით.

რას ნიშნავს სომხური გაგებით სიტყვა "ეწინააღმდეგება", ამის თაობაზე კარგად იციან ელიზავეტპოლის გუბერნიის ტერიტორიის რუსული დაღუპული დასახლების მცხოვრებლებმა. ეს საშინელი ეპოპეა დაწვრილებით იქნება გადმოცემული ქვემოთ, წიგნის იმ თავში, რომელიც რუს ახალმოსახლეებს მიეძღვნება. ერთ-ერთი ცოცხლად გადარჩენილი ახალმოსახლის მონათხრობმა მსმენელებზე ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა, რომ თურქული ხოცვა-ჟლეტვის ყველა საშინელება ფერმკრთალდება "მშვიდობიანი" და "კულტურული" სომხების ცივი და სატანური სისასტიკის ფონზე, რითაც ისინი რუსი ახალმოსახლეების გამოძევებას ცდილობდნენ რუსული სისხლის ფასად ომით მოპოვებული მიწებიდან.

ხსენებულ პოლიტიკანებს სურთ ასევე სული ამოხადონ მხარის მუსულმანურ მოსახლეობას და რეპუტაცია შეულახონ მუსულმანებს, რათა მომავალში მათი მიწებით ისარგებლონ. მათი ერთგული მსახურებისა თუ მონების შორსმჭვრეტელური უსაქმურობის გამო დღემდე ხელი ეშლება მუსულმანურ პროვინციებში მიწებზე წოდებრივი უფლების განსაზღვრას და აქ თავად-აზნაურულ-გლეხური საადგილმამულო ბანკის დაფუძნებას. თავისთავად ცხადია, რომ მიწებზე წოდებრივი უფლების საქმეში გამეფებული არეულ-დარეულობა უღვივებს ნერვულ განწყობას ადგილობრივი ფეთქებადი ხასიათის მქონე მოსახლეობას და ყაჩაღური თავდასხმებისა და სისხლიანი შეტაკებების მთავარი მიზეზი გახლავთ. ყოველივე ეს საგულდაგულოდ ინიღბება პეტერბურგის წინაშე და ვიღაც "წარმოშობით კავკასიელმა" ბატონმა ვ.ს.კ.-მ "ახალი დროების" საოლქო განყოფილების რედაქტორთან გამართული პოლემიკისას ხაზი გაუსვა კავკასიელ მუსულმანთა ნერვულ და ფეთქებად ხასიათს, თუმცა არაფერი უთქვამს იმ ერთ-ერთ ძირითად ფაქტორზე, რაც ამ ნერვიულობისა და ფეთქებადობის მიზეზი გახლავთ. ფაქტი სახეზეა: მრავალი ათწლეულების მანძილზე მაუდქვეშაა ამოდებული ის საკითხები, რომლებიც მოსახლეობის მთელი ჯგუფის ინტერესებს ეხება, – და ამის გამამართლებელი რაიმე ჭკვიანური მიზეზი არ არსებობს! რეზულტატი კი სახეზეა! ძნელი მისახვედრი არ არის, თუ ვინ დგას ამის მიღმა!.. შედეგად, მთელი კავკასიის მუსულმანური მოსახლეობა უკვე სომხურ ბადეში არის გახვეული ისევე, როგორც სხვა ადგილების მოსახლეობაც, რა თქმა უნდა, ქუთაისის გუბერნიის გარდა. სომეხი მილიონერი-ვეშაპები, რომელსაც ეყრდნობა "არმენიის" სამრეწველო-პოლიტიკური ტერორი – გროშებზე ყიდულობენ ქართველ თავადთა და მუსულმან აღალართა ათიათასობით დესეტინა მიწებს და ასე იტაცებენ იმ სახაზინო მამულებსაც, რომელიც "ცუდად დევს" (ამ მიწებზე სახლდებიან მხოლოდ თურქეთიდან გადმოსახლებული სომხები). ეს მიწები კი, უნდა ითქვას, რომ დიდი ხანის "ცუდად დევს", საერთო-იმპერიული კანონების მიერ ადგილობრივი პირობების გაუთვალისწინებლობის გამო.

ამის მიუხედავად, გამყიდველი რუსი პუბლიცისტები რუს ადამიანებს არწმუნებენ, რომ სომეხი ხალხი მთელ კავკასიაში ერთადერთი მშვიდობიანი და კულტურული ელემენტია.

პეტერბურგში სომეხი მდიდრები და მათ მიერ დაქირავებული დამქაშები გავლენიანი კლასის წარმომადგენლებისათვის, და, სამწუხაროდ, ბეჭდვითი სიტყვის მრავალი წარმომადგენლისათვის, ამის დამტკიცებას ახერხებენ ნავთობის აქციებით, გემრიელი სადილებით და თვით ულამაზესი ბანოვნების პირითაც კი, რომელთაც ამ საქმისათვის სპეციალურად ქირაობენ. ვიმეორებ: ჩვენი გაუთვითცნობიერება ამ საქმეში გამაოცებელია, ხშირად კი – დანაშაულებრივი. თვით აზრობრივი მიმართულებით, რუსულ გამოცემებშიც კი, ხშირად გვიწევს იმის წაკითხვა, რომ სომხები არიან "ქრისტიანობის დასაყრდენი აღმოსავლეთში, ხოლო აშკარად არახელსაყრელი მიმართულების მქონე გამოცემები (მაგალითად, სახელგაცვეთილი "სანქტ-პეტერბურგის უწყებანი"), რომლებიც კავკასიასა და იმპერიის დედაქალაქში გამოდიან, იმდენად ჰერკულესური შემართებით უძვრებიან სომხებს, რომ მათ მაგიერ ნებისმიერი ჩვენთაგანი ღვთის წინაშე შეძრულია სირცხვილისა და შიშისაგან.

სომეხთა თავკაცები და მათი დამქაშები, ებრაელთა მსგავსად, შედარებით ახალგაზრდა და გულუბრყვილო რუსი ადამიანების დარწმუნებას ცდილობენ იმაში, რომ რუსეთი მთლიანად მომწიფდა სახალხო-სახელისუფლებო წარმომადგენლობისათვის, და რომ ჭეშმარიტი პატრიოტიზმი გახლავთ სწორედ ამ "სიმწიფის" ფართოდ გამოყენება, რომლის არსია იმპერიის განაპირა მხარეებისა და სხვა ხალხებისათვის საკუთარი ბედის მინდობა და მართვის გადაცემა. საქმისადმი სხვაგვარად მიდგომა იქნებოდა "მიუღებელი" და "შავბნელი ძალების" აღზევება. ვისაც კი კავკასიაში ამ აფორიზმებით ყურები აქვს გამოჭედილი, მისთვის სავსებით გასაგებია პეტერბურგში შექმნილი მრავალი ნაჯღაბნის ჭეშმარიტი შინაარსიც, როგორც არ უნდა იყოს იგი შენიღბული თუნდაც განსაკუთრებული სახის რუსული "ნაციონალიზმით". როცა სომხები და მათი დამქაში მჯღაბნელები გზას აძლევენ რუსული ინტელიგენციის ძნელად მოაზროვნე ნაწილისათვის ჩვეულ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ფორმულებს და, მაგალითად, აცხადებენ ყველა ხალხების ძმობისა და თანასწორუფლებიანობის შესახებ, ეს ზიზღისმომგვრელი სიცრუეა, ცუდად შენიღბული ტყუილია, რომელსაც ბავშვიც კი არ დაიჯერებს, თუ იგი წესიერია და ხვდება რაშია საქმე. ადამიანები, რომლებიც თავს ისე იკატუნებენ, რომ თითქოს სჯერათ სომეხთა ლიბერალურ-ჰუმანური მოძღვრებისა, ისეთივე ცრუპენტელები არიან, როგორც თვით ამ მოძღვრების ავტორები. საკმარისია მხოლოდ ოდნავი ყურადღებით წავიკითხოთ ის, რაც იწერება სომხურ საკითხებზე და თვალი მივადევნოთ კავკასიის საკითხებს, რომ ზემოთთქმული დასკვნის აქსიომად აღიარებას წინ ვეღარაფერი დაუდგება.

მაგალითად, მგონია, რომ ლიბერალურ-ჰუმანიტარული იდეა კი არ კრძალავს რუსი ხალხების მასისათვის ზრუნვას, არამედ პირიქით, ეხმარება ადამიანთა იმ ჯგუფებს, რომელთაც ჩვენი ცენტრის სიღარიბე და მიწების უქონლობა იმპერიის განაპირა მხარეებისკენ ერეკება. ამის კვალდაკვალ, პუბლიცისტიკის სომეხი მეცენატების თაოსნობით, რამდენიმე წელია, ყოველი საშუალების გამოყენებით მიმდინარეობს გააფთრებული ბრძოლა რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მონახაზზე, რაც გულისხმობს კავკასიაში თავისუფალი მიწების რუსი ახალმოსახლეებისათვის გადაცემას.

ავიღოთ სხვა ანომალია, კავკასიის თვალსაზრისიდან გამომდინარე, კიდევ უფრო აღმაშფოთებელი, რომელიც აშკარა წინააღმდეგობაში მოდის თვით სომხურ მტრულ ფორმულასთანაც კი – "კავკასია კავკასიელთათვის". აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მრავალ ქალაქში მუსულმანობა შეადგენს მოსახლეობის დიდ ნაწილს, მაგრამ, იგივე ქალაქების თვითმმართველობაში ისინი ვერ სარგებლობენ სომხებთან თანასწორუფლებიანობით, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი "ქრისტიანები" არიან. ასეთი მიზეზებით შეიძლება ტვინი ამოვუტრიალოთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც კავკასიას გაცნობილები არიან კალენდრებში ჩაწერილი მონაცემებით. ეროვნებათა სიჭრელით გამორჩეულ სახელმწიფოში მოსახლეობის ზოგიერთი ჯგუფის უფლებათა შეზღუდვა სასარგებლო და აუცილებელიც კი არის, მაგრამ ეს ღონისძიება უნდა გამოდიოდეს ყოფითი პირობებიდან და არ უნდა ეყრდნობოდეს ფორმალურ ნიშნებს. უნდა შევზღუდოთ ექსპლუატატორები, დაუმორჩილებლები, პოლიტიკანები, კაგალური წყობის ადამიანები; ამისთანები კი მხოლოდ სომხები არიან და არა მუსულმანები. ქრისტიანობა ქრისტიანული მორალის გარეშე სიყალბეა. ამიტომაც, არც თუ უსამართლოდ, ერთმა მართლმადიდებელმა იერარქმა, რომელიც კარგად იცნობდა კავკასიის ცხოვრებას, მითხრა, რომ მუსულმანები სულიერებითა და ზნეობრივი საფუძვლებით უფრო ახლოს არიან მართლმადიდებლებთან, ვიდრე მონოფიზიტი-სომხები. მაგრამ, თუ მაინც დავდგებით მექანიკურად გათანაბრებული სამართლიანობის თვალსაზრისზე და უკუვაგდებთ ნებისმიერი სახის შეზღუდვას, მაშინ სავსებით ბუნებრივი იქნებოდა, რომ მუსულმანებისათვის იგივე უფლებები მიგვეცა, რასაც სომხებს ვაძლევთ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მუსულმანები დიდი ხნის მკვიდრი მოსახლეები არიან.

კავკასიის ხელისუფლება კეთილსინდისიერად მიილტვოდა ამისაკენ, და მოკლე დროის განმავლობასი საკითხი გადაწყვეტილადაც კი ითვლებოდა სასურველი კუთხით. სომხური ბეჭდვითი საშუალებები, რომლებიც ეგრეთწოდებული "ლიბერალიზმის" დოგმატიზმს აღმსარებლობდნენ და სავსებით უცერემონიოდ ეკიდებოდნენ მართლმადიდებლურ სიწმინდეებს, მოულოდნელად ძალზე გულმხურვალედ ამღერდნენ "ქრისტიანობის" თემაზე, პეტერბურგის საქმეში კი ჩართული იქნა მთელი გავლენა, რათა მუსულმანთა უფლებრივი შეზღუდვები ძალაში დარჩენილიყო. სომხებისათვის ხელმისაწვდომი გაზეთები ახმაურდნენ პანისლამიზმზე და დამთმობმა პეტერბურგმა შეცვალა კეთილშობილური ზომები, რომელსაც უკვე საქმით ახორციელებდა კავკასიის ხელისუფლება...

სომხები და მათი დამქაშები, როგორც ჩანს, ჯიბეში გადამალავენ ხოლმე თავიანთ ლიბერალიზმს, როცა საქმე ეხება მათ ტომობრივ ინტერესებს. ტყუილად კი არ არის ნათქვამი ანდაზა: "გინდ ისაი არაქელოვიჩი, გინდ არაქელ ისაიჩი". ყველაფერი უცხო, თუნდაც მამაცობით და სისხლით მოხვეჭილი, მათ უსამართლოდ მოხვეჭილად მიაჩნიათ. ასე მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ სომხები უკვე ორმოცი წელია ითვლებიან კავკასიის დე ფაქტო ბატონ-პატრონად ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რუსული ხელისუფლება ღირსეულ პატივს მიაგებს უძველეს ქართველ დიდგვაროვანთა იმ დამსახურებულ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც ტრადიციულად გამოხატავდნენ რუსეთისადმი ერთგულებას, და არა გუშინდელ ნოქრებს, მანუფაქტურით მოვაჭრეებსა და სახაზინო მიწების მიმტაცებლებს. სწორედ ეს "სწყინთ" სომეხთა ჰეგემონიის ქომაგებს, რაც მათ აღმაშფოთებელ უკანონობად მიაჩნიათ!

*გაგრძელება იქნება*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოპოზიცია

**შემოქმედებით ინტელიგენციას (დიდის მორიდებით მივაკუთვნებ საკუთარ თავს საზოგადოების ამ ნაწილს) ობივატელი ხშირად გვიკიჟინებს – თქვენ არცერთი ხელისუფლება არ მოგწონთ და ამიტომაც მუდამ ოპოზიციაში იმყოფებითო.**

აბსოლუტურად არ ვეთანხმებით ამ თვალსაზრისს, რადგან ჩვენ ხელისუფლების ოპოზიცია ვართ ეროვნულ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებში და არ ვეწევით მმართველი ძალის პოლიტიკურ ოპონირებას. ჩვენ არ ვეუბნებით ხელისუფლებას – საქმეს თავს ვერ ართმევთ, ჩამობრძანდით მაგ სკამებიდან, თქვენს ადგილს ჩვენ დავიკავებთ და ქვეყანას უკეთ გავუძღვებითო. ჩვენ მხოლოდ ხელისუფლების იმ ქმედებებს ვაკრიტიკებთ, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს ქვეყანა, საკუთარი კომპეტენციისა და ცხოვრებისეული გამოცდილების ფარგლებში კი იმასაც ვკარნახობთ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ესა თუ ის საკითხი, და რაც მთავარია, ქვეყანას უნდა ჰქონდეს განვითარების საკუთარი სტრატეგია და ძირითადი მიმართულებები, რაც დღეს არც პოზიციას გააჩნია და არც ოპოზიციას.

ჯერ კიდევ 2000 წლის მაისში ცნობილმა ქართველმა პოლიტოლოგმა ალექსანდრე ჭაჭიამ შეიმუშავა და გამოაქვეყნა **"საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა"**, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: **"ერისა და ქვეყნის განვითარება შეუძლებელია განვითარების არსზე, მიზნებსა და მიმართულებებზე საღი წარმოდგენის არარსებობის პირობებში. ამავე დროს, უკვე წლების განმავლობაში ქართველი ერი ცხოვრობს ყოველგვარი მკვეთრად განსაზღვრული იდეებისა და ამოცანების, ნათლად გაცნობიერებული ეროვნული ინტერესებისა თუ სოციალური პრიორიტეტების გარეშე..."** ბოლო წინადადებას ერთი ფრაზა აკლია: **"ცხოვრობდა, ცხოვრობს და ამგვარი "პოზიცია-ოპოზიციის" გადამკიდე კიდევ დიდ ხანს იცხოვრებს ყოველგვარი მკვეთრად განსაზღვრული იდეებისა და ამოცანების, ნათლად გაცნობიერებული ეროვნული ინტერესებისა თუ სოციალური პრიორიტეტების გარეშე"...**

არც ხელისუფლებას არც ოპოზიციას მსგავსი არაფერი შეუქმნია ორი სრულიად **"მარტივი"** მიზეზის გამო. ჯერ ერთი, მათი აზროვნების დონე აშკარად ვერ შესწვდება იმ სიმაღლეებს, რომლის გადმოსახედიდანაც არის ეს მეცნიერულ დონეზე შესრულებული პროექტი. მეორეც, საქართველოს ხელისუფლებაცა და ოპოზიციაც ამერიკიდან იმართება, ამერიკელებს ხელ არ აძლევს, რომ საქართველოს განვითარების სრულყოფილი პროგრამა გააჩნდეს, რადგან მისთვის კოლონიური ყოფა აქვს მიჩენილი, კოლონიისათვის კი ცხოვრების დაბალი დონეა განკუთვნილი.

ალექსანდრე ჭაჭიასეულ პროექტში, რომელიც მან შესთავაზა ქართულ საზოგადოებრიობას, ჩამოყალიბებულია საქართველოს ძირითადი ეროვნული ინტერესები, თანამედროვე ეტაპის სოციალური პრიორიტეტები, საზოგადოებრივი ცხოვრების საბაზო სფეროებში მთავარი ამოცანები და განვითარების სტრატეგიული მიზანი. დოკუმენტში ასევე განსაზღვრული იყო ქართული ეროვნული იდეა, როგორც ერისა და სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების ქვაკუთხედი და იქვე მიუთითებდა, რომ ნებისმიერი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური კონსტრუქცია საქართველოში განწირული იქნება, თუ იგი არ დაეყრდნობა ტრადიციულ სულიერებას, არ არის სამართლიანობის იდეით გამსჭვალული და ხალხის კეთილდღეობაზე მიმართული. ჭაჭიამ მაშინ ქართულ საზოგადოებას სთხოვა, რომ ფართოდ განეხილათ აღნიშნული პროექტი და თუ საჭირო გახდებოდა, შეეტანათ მასში გარკვეული კორექტივები. როგორც გახსოვთ, **"პოზიციას"** მაშინ შევარდნაძე წარმოადგენდა, **"ოპოზიციას"** კი მიხეილ სააკაშვილი. ნაცვლად იმისა, რომ გაწეული დიდი შრომისათვის ახალგაზრდა პოლიტოლოგი ამ დოკუმენტის შექმნაზე გაწეული ტიტანური შრომისათვის სიტყვიერი მადლობით მაინც დაეჯილდოვებინათ, უნდა გენახათ, როგორი მონდომებით წამოესიენ მას **"პოზიცია-ოპოზიციაში"** მოკალათებული მედროვეები. მოდგნენ და სულ კრემლის აგენტი უძახეს. არა და, პროექტის ავტორმა მხოლოდ ქვეყნის ნეიტრალიტეტი განსაზღვრა და მისი დამოუკიდებლად განვითარების კონცეფცია შეიმუშავა (თუ საქართველოსათვის ნეიტრალიტეტის მოთხოვნა ემთხვევა კრემლის პოზიციებს, მაშინ სამადლობელი სიტყვების მეტი რა გვეთქმის ჩვენი ჩრდილოელი მეზობლისათვის). ბატონმა ალექსანდრემ მაშინ გაგვაფრთხილა, რომ თუ ქვეყანას სხვა გზით წაიყვანთ, კრახი გარდაუვალი იქნებაო.

კეთილი სიზმარივით აგხდომოდეთ ყველაფერი ისე, როგორც ჭაჭიას **"წინასწარმეტყველება"** აუხდა ჩვენი **"პოზიციისა და ოპოზიციის"** გადამკიდე ქართველ ხალხს. ამასთან დაკავშირებით ანეკდოტად ქცეული ერთი სახალისო ამბავი მახსენდება:

კახელი გლეხი ტყეში დადის ფიჩხის შესაგროვებლად და დაინახა, რომ მისი მეზობელი მიხო მაღალ ხეზე ამძვრალა და იმ ტოტს ხერხავს, რომელზეც ზის.

– რასა შვრები, მიხო, ეგრე ხომ ჩამოვარდები!

– წადი, გაიარე შენი გზითა! – ჩამოსძახა გაბრაზებულმა მიხომ.

განაგრძო გზა გლეხმა, ფიჩხი შეაგროვა და უკან დაბრუნებულზე დაინახა, რომ მიხო ხის ძირში აგდია და ტკივილებისაგან ვიშვიშებს.

– ხომ გითხარი, კაცო, ჩამოვარდები-მეთქი, – მივარდა მეზობელი და მის ფეხზე წამოყენებას შეეცადა.

– შენ რო კაცს დათარსავ, მაშ რა მოუვა! – ამოიკვნესა ტკივილებისაგან გათანგულმა მიხომ.

ჩვენი საქმეც ასე იყო – ახლაც კი ვიშვიშებენ **"პოზიცია-ოპოზიციის"** წარმომადგენლები და ხმამაღლა გაიძახიან: ჭაჭიამ დაგვთარსა თავისი პროექტით, თორემ ჩვენი საქმე ბევრად უკეთესად იქნებოდაო.

ხელისუფლებისა და ოპოზიციის საქმე რომ ბევრად უკეთესადაა, ამაში ეჭვი აღარავის ეპარება, რადგან ისინი ერთი სალაფავიდან მიირთმევენ სათქვლეფს. მართლებიც არიან, რადგან ჭაჭიას ჭკუას რომ აჰყოლოდნენ, მაშინ ვერ მიიღებდნენ და, რაც მთავარია, ვერ მოიპარავდნენ იმ ამერიკულ გრანტებსა და იმ დახმარებებს, რომელთა წყალობითაც საქართველოს საგარეო ვალი 7 მილიარდ დოლარს ასცდა. ამერიკელები თუნდაც იმიტომ არ მისცემდნენ დახმარებას, რომ ისინი, როგორც წესი, მხოლოდ მარიონეტებს ეხმარებიან მათი მხარდამჭერი რეჟიმის შესანარჩუნებლად. **"პოზიცია-ოპოზიცია"** კი ერთნაირად ამერიკელთა მარიონეტია და ამიტომაც, ისინი არასოდეს არ იზრუნებენ საქართველოს გაძლიერებისა და ქართველი ხალხის კეთილდღეობის ასამაღლებლად, რადგან ქართველი ხალხის კეთილდღეობა მათთვის პირიდან ლუკმის გამოცლას უდრის, რასაც ჩვენი **"სახელოვანი"** ოპოზიციონერები არასოდეს დათანხმდებიან. რაც შეეხება "დემოკრატიისათვის" თავგადაკლულ ამერიკელებს, მათ ოღონდ თანამდგომები და მხარდამჭერები შეინარჩუნონ და, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ფეხებზე ჰკიდიათ დემოკრატიული ღირებულებები. განა ასე არ მოხდა ერაყში, სადაც ამერიკელთა ფინანსებითა და იარაღის ძალით მოვიდა ხელისუფლების სათავეში სადამ ჰუსეინი და მოსვლის დღიდან დიქტატორად იქცა. ვიდრე სადამი ამერიკელთა ყურმოჭრილი ყმა იყო, ისინი მშვიდად ხვდებოდნენ ულვაშა ერაყელის არაორდინალურ გამოხდომებს. მაგრამ, საკმარისი გახდა, სადამ ჰუსეინს მათთვის ზურგი ეჩვენებინა, რომ ამერიკელებმა იგი დიქტატორის ტახტიდან ჩამოაგდეს და საღრჩობელაზე აიყვანეს.

ესეც შენი ამერიკული დემოკრატია!

ახლა, რაც შეეხება ქართულ **"პოზიცია-ოპოზიციას"**. როგორც გახსოვთ, 2003 წლის ავბედით **"ვარდების რევოლუციამდე"** ედუარდ შევარდნაძე **"პოზიცია"** იყო, მისი იუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი კი **"ოპოზიცია"**. მმართველობის უკანასკნელ წლებში შევარდნაძის მთავარ საზრუნავს მის მიერ არამად ნაშოვნი ფულისა და ქონების შენარჩუნება წარმოადგენდა. ამიტომაც ამზადებდა იგი წინასწარ იმ ბინძური სპექტაკლის დადგმას, რასაც შემდეგ სააკაშვილი და ქვეყნის ხელისუფლებაში მოსული მისი გარემოცვა **"ვარდების რევოლუციად"** მოიხსენიებდნენ. სააკაშვილმა კარგად იცოდა, რომ **"თეთრი მელა"** მას საქართველოს სრულ ბატონ-პატრონად ამზადებდა და ერთგულების დასამტკიცებლად თავის შვილს სახელად **"ედუარდი"** დაარქვა. უფროსმა ედუარდმა კარგად იცოდა, რომ ქართველ ხალხს ეზიზღებოდა, და ამიტომ, მის მიერ რეკომენდებულ პიროვნებას არავინ აირჩევდა საქართველოს პრეზიდენტად. სხვა ძალებიდან წესიერი არჩევნებით მოსული პრეზიდენტი კი მას აშკარად მოსთხოვდა პასუხს ხელმრუდობისა და უამრავი დანაშაულის ჩადენისათვის. ხოლო თუ ვინმე შევარდნაძეს ისტორიის სანაგვეზე მოისროდა, იგი ნამდვილად გმირის მანტიას მოირგებდა. თანაც, შევარდნაძე დაბერდა და ძველებური მონდომებით ვეღარ ანგრევდა ქვეყანას. ამერიკელებს სჭირდებოდათ უფრო ახალგაზრდა, ენერგიული "დამანგრეველის" მოძებნა. ამიტომ, ამერიკელებთან შეთანხმებით შემუშავდა **"ვარდების რევოლუციის"** ვერაგული გეგმა, რომელიც იაფი სატყუარა გახლდათ და ქართველმა ხალხმაც **"გადაყლაპა"**.

სწორედ აქ დაიწყო ქართველი ხალხის ტრაგედიის მორიგი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ეტაპი. სააკაშვილმა პირნათლად აასრულა დანაპირები და მისი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან შევარდნაძე უზრუნველად ცხოვრობს კრწანისის **"ოქროს გალიაში"**, ქართველი ხალხის ყვლეფისა და საქართველოს განადგურების **"სომხური მოდელის"** განხორციელებას კი წარმატებით შეუდგა სომეხი მიხეილ სააკაშვილი და მისი აშკარად სომხური გარემოცვა.

უკვე ეჭვი არავის ეპარება, რომ დღევანდელი ოპოზიცია სააკაშვილისათვის იგივე ოპოზიციაა, რა ოპოზიციასაც იგი თავად წარმოადგენდა შევარდნაძისათვის. ახლა, როცა სოციალური და ეკონომიკური პრობლემებით გატანჯული ხალხის რისხვამ პიკს მიაღწია, უკვე შევარდნაძესა და სააკაშვილს გაუჩნდათ ერთობლივი საზრუნავი. მათ უნდა მოძებნონ პიროვნება, რომელიც ორივეს დაუნარჩუნებს ნაოხრალ ქონებას. ჭეშმარიტად ძნელია ახალი ამგვარი კანდიდატურის მოძებნა, რადგან ფერადი **"რევოლუცია"** საამისოდ უკვე აღარ გამოდგება, ახალი კი ჯერ ვერაფერი მოუფიქრებიათ, გარდა იმისა, რომ ოპოზიციას მოაწყობინონ ხანგრძლივი საპროტესტო აქციები, გადააკეტინონ ქუჩები, რაც მხოლოდ უბრალო ხალხს უჩენს თავსატეხ პრობლემას და არა ხელისუფლებას. ბოლოს და ბოლოს ხალხი დაიღლება, ხელს ჩაიქნევს ყველაფერზე და იტყვის: **"ჯანდაბას თქვენი თავი, ვინც გინდათ ის მოიყვანეთ ხელისუფლებაში, ოღონდაც ქუჩები გახსენითო"!**

აი, ეს უკვე დამღუპველი იქნება ქართველი ხალხისა და საქართველოსათვის. რატომ?

ოპოზიცია ყველაფერზე უკიჟინებს ხელისუფლებას, მაგრამ კრინტს არ ძრავს იმაზე, რომ კორუფციამ შთანთქა ქვეყანა, რომ ხელისუფლებას პირადი გამდიდრების მეტი არაფერი აინტერესებს. ოპოზიციის ამგვარი **"თავშეკავება"** მხოლოდ იმითაა ნაკარნახევი, რომ თავად, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, ხალხის ყვლეფისა და ხაზინის გაქურდვის იგივე გზას დაადგებიან, რა გზასაც მყარად ადგას დღეს ხელისუფლება.

ამიტომ, ქართველმა ხალხმა ერთნაირი მონდომებით უნდა გარეკოს პოზიციაცა და ოპოზიციაც, და გზა გაუხსნას ხელისუფლებისაკენ იმ პოლიტიკურ ძალებს, ვინც მიაღწევს ქვეყნის ნეიტრალიტეტსა და მის ტერიტორიულ გამთლიანებას, ვინც არ მოისურვებს გაღატაკებული ხალხის ხარჯზე გამდიდრებას, ვისაც ქვეყნის ბედი აინტერესებს, და არა საკუთარი დანაშაულებრივი გარემოცვისა.

ამგვარი ძალების მოძებნა კი სრულიადაც არ გახლავთ ძნელი საქმე!

**როლანდ ჯალაღანია**

# ამერიკა ახალ მოკავშირეებს ეძებს

ამერიკის ახალი ადმინისტრაცია საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტების გადაფასების ზღურბლზე დგას, ამ გადაფასებას კი შესაძლოა, მთელ მსოფლიოში მოჰყვეს საერთაშორისო ურთიერთობების კონფიგურაციის ცვლილება. ამერიკის დაზვერვის ნაციონალური საბჭოს მოხსენების თანახმად, უახლოესი ათი წლის განმავლობაში ამერიკის საომარ-პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება მნიშვნელოვნად შემცირდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ მიმართულებებით ის მაინც დარჩება მსოფლიოში უძლიერესად. ეკონომიკური და საომარ-პოლიტიკური ზრდა ყველაზე მეტად ევროპის საზღვრებს გარეთ შეინიშნება, განსაკუთრებით კი, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიის, მექსიკის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების როლის ზრდა იქნება თვალშისაცემი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აშშ იძულებული გახდება, ხელახლა განსაზღვროს ახალი მოკავშირეებისა და პარტნიორების ვინაობა.

პრეზიდენტმა ობამამ ამერიკული სტრატეგიული ინტერესები შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: ავღანეთში ომის როგორმე დამთავრება; პაკისტანში სტაბილურობის ყოველმიზეზგარეშე შენარჩუნება, ვინაიდან ქვეყანა ბირთვულ იარაღს ფლობს და ეს იარაღი არამც და არამც არ უნდა მოხვდეს ისლამური ფუნდამენტალისტების ხელში; ირანისა და კორეის ბირთვულ სახელმწიფოებად გადაქცევის თავიდან აცილება; ბირთვული გაუვრცელებლობა; ერაყიდან ამერიკული ჯარების გაყვანა და საამისოდ აუცილებელი სტაბილურობა; ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკული უსაფრთხოება. უკვე დღეისათვის ცხადია, რომ ამერიკის ტრადიციული ევროპელი მოკავშირეები და ნატო ჩამოთვლილთაგან, პრაქტიკულად, ვერც ერთი მიმართულებით ვერ შეასრულებენ მნიშვნელოვან როლს. ნატოს 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილმა სამიტმა კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ეს ორგანიზაცია ინერციით მივა საკუთარ აღსასრულამდე და ამერიკის სტრატეგიული პრობლემების გადაწყვეტის საკითხში ეფექტიან დახმარებას ნამდვილად ვერ გაუწევს. ნატოს ჯარების კონტინგენტის დაპირებული ზრდა ავღანეთში მხოლოდ სიმბოლური ხასიათისაა და ავღანეთის ომი ცალსახად ამერიკის ომად იქცა. ლონდონში გამართულ დიდი ოცეულის სამიტზე კი ევროპულმა ქვეყნებმა ეკონომიკის სტიმულირების ამერიკულ პროგრამას მხარი არ დაუჭირეს.

ასე რომ, შეერთებულ შტატებს საგარეო ურთიერთობების გადახედვა არ ასცდება, ახლებური ხედვით კი, ყველაზე ნაყოფიერი მომავლის იმედს რუსულ-ამერიკული ურთიერთობები იძლევა – რუსეთი ამერიკის ბუნებრივი პარტნიორია ამერიკელთათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ყველა ასპექტში. ამ ორი გიგანტის ინტერესები არც ერთ საკითხში არ ეჯახება ერთმანეთს, ამით კი ობამას ადმინისტრაციას ეძლევა შესაძლებლობა, მიიღოს მედვედევის ევროატლანტიკური უსაფრთხოების ახლებურად ფორმირების აუცილებლობის წინადადება. ამისათვის შტატების ადმინისტრაციას ძველ სტერეოტიპებთან გამომშვიდობება მოუწევს. მან არჩევანი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და მიმდინარე ინტერესებს შორის უნდა გააკეთოს. ეს არჩევანი საბოლოოდ გასცემს პასუხს კითხვაზე: ვინ აყალიბებს ამერიკულ საგარეო პოლიტიკას – ვაშინგტონი თუ თბილისი, რიგა, ტალინი და ვარშავა, რომლებიც დასავლეთსა და მოსკოვს შორის კონფლიქტური სიტუაციის შენარჩუნებაში დაინტერესებულნი არიან. პოსტსაბჭოთა სივრცე ერთადერთი სფეროა, სადაც დღეისათვის კვლავ იგრძნობა დაძაბულობა რუსეთსა და ამერიკას შორის. როგორც ჩანს, რუსეთი და ამერიკა მსოფლიო უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის ფორმირებას დაიწყებენ, ახლა ორივე მათგანის უმნიშვნელოვანესი საზრუნავი საკუთარი ეკონომიკის მოდერნიზება და საზღვრებზე სტაბილურობის შენარჩუნებაა. მართალია, მსოფლიოში ყოველთვის მოიძებნება ქვეყნები, რომელთაც ძველი სტერეოტიპებითა და სქემებით ურჩევნიათ ცხოვრების გაგრძელება, მაგრამ ობამას ადმინისტრაციის გაბედული ნაბიჯები შიდა პოლიტიკაში, განათლების, ჯანდაცვისა და ენერგეტიკის სფეროების პრაგმატული რეფორმირება იმის გარანტიაა, რომ ქვეყნის სტრატეგიული ინტერესების რაციონალური გაანალიზების შემდეგ იგივე მიდგომა წარმატებით გავრცელდება საგარეო პოლიტიკაზეც.

ბიბლიოთეკა

## ხსოვნის სტრიქონები

ნაწყვეტებს მეგრულ ენაზე შექმნილი ისტორიული პოემიდან "ბულათია", რომლის ავტორი გახლავთ თავდადებული მამულიშვილი და ჭეშმარიტი პოეტი დანიელ პავლეს ძე ფიფია, გთავაზობთ გაზეთ "ილორში". 113-ე წელი ილევა პოეტის დაბადებიდან. იგი 28 წლის ასაკში შეიწირა პოლიტიკურმა უამინდობამ – სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული გულანთებული პატრიოტი 1924 წლის თებერვალში დააპატიმრეს იმის გამო, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის დროს იყო ზუგდიდის სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელი პროპაგანდისტი. დაპატიმრებისას დანიელ ფიფია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესამე კურსზე სწავლობდა.

## ბულათია

დანიელ ფიფია

*მიდურც – მედინ მარობით,*
*ქუმურც – მოყუნც უჩინებუ,*
*კვერი უროში საგამათგ*
*ხეს მათრახი უკინებუ.*
*ამდღა ძირგ ჭალადიდცგ,*
*ჭუმე ორწყექ მუხურც,*
*მინი ჯვარც იწურუანც*
*მინი ბანძა დო კურზუს.*
*ვარე იში ოჭკადირეს*
*ჯვეშობური ძიცა-ბირა,*
*ირგკოც უკვე ჩქინი ჭკადგში*
*თაშინერი გგმოთირა.*
*ამ სერითი შორ შარაშე*
*ახალი დგნართირე უტუ, ცხენცგ*
*გამნაწყგ ონანგერი*
*ოცალუეს მიშე გუტუ.*
*ჩილქ ქიმიაზადგ*
*ძღვანძღვილი კოცგ*
*გინგმანწყგნცგ ნაბადის,*
*ქომონც "სო რდი" ქოკითხასი*
*ვაუბედგ რაგადისგ.*
*ოსერიშო გაგგმიღგ*
*ქიგგლანწყუ ტაბაკის,*
*თე ბორც ყუჯი ქიკლაკინდეს*
*ცხენიში კუჩხიში ხაბაკის.*
*გალე მიდგენც ჯოღორენმქდ*
*ოღურალო ქიმიაშხგ*
*დო სუმარქგ ხონარამი*
*"ყეი მენძელი" ქდგიძახგ.*
*მენძელქთი კარი განჯ*
*სუმარქ ცხენცგ გიმე ქოლგ,*
*უტუქ ქიჩინ ბულათია*
*გოღურჯოლ, გოხუტოლგ*
*მოვუწყინე გინძე ლერსით*
*წამაკითხე დო მარჩქილე,*
*ბრელიშ კუნტათ რაგადი უჯგუ*
*შოთაში სიტყვა ქგმარჩქილე,*
*მარა შოთა ართ ორდგ*
*მა მუ პონდგ მაჟირას,*
*სო მათქუედ მა იცალი*
*კუნტას დო კვათირასგ.*
*აწი ვარა მარჩქილეში*
*ვაფშულიდ მა თოყუცუ,*
*გინძე ლერსიშ ჭარუაშე*
*კინუხიენქ ჩქიმი დუცუ.*
*ვებჭარგ მენძელ-სუმარიში*
*ღართი, ორტყაფუ, ნაბადის.*
*თქვა ურჩქილათ ჭკადუემც*
*მა მივოტე რაგადის.*
*უტუ*
*ბულათია! მახიოლ*
*სქანი მულა დო ძირაფა,*
*მარა მიკვე, მუქ გინგოყოთ –*
*ორე სერი მოძირაფა!?*
*კოჩქ დიფრჩინი ვაპოფერექ*
*თეცალი სერიშ მაზირაფუ,*
*მინდორი ზღვას ქოგურაფუ,*
*ყუდეფი წყარც აშეფაფუ!*
*ბულათია*
*ჩქიმი საქმე წულირი რე,*
*ვამიჩქ მუჭო გიშენწყუე...*
*მის ვეჩია გაჭირება –*
*სი მაყალეს ვაგიწუე!..*
*ართო მობრდეთ, სი ქოიჩქ*
*უტუ, ჩქიმი ხასიათი...*
*სი მა მიჯერდი დო მეკენჯი*
*სკანი დღას ვაპოფექგ მათი*
*რხინ ბორჯის წორო პოფეთ,*
*ჭირით გომირთგნა შქაშა,*
*ჯგირო რდუო, ფური რდუო,*
*დუდი ქგმიბღით ამუდღაშა...*
*ამდღა ფერქ ქგმაღოლგ*
*ბრელი ხანც ვამიჭარგ რინი,*
*დო ითებუ ამუსერი*
*პამო მაყალობა ჩქინი!*

რა ხანია, რაღაც უტუს
თითქოს საქმე შეელახა,
გარე-გარე მალ-მალ დადის
შინ კი იშვიათად ნახავ.
ასი კითხო ერთს თუ გეტყვის
დაკარგვია სიტყვის მადა,
აღარ ახსოვს კვერი, ურო,
არ ადგია წაღმართ გზასა.
ეტანება სხვა საქმეებს,
მიუხვედრელ რამე დიდსა,
ხელში მათრახაღერილსა
ნახან მუხურ-ჭალადიდსა.
მოგზაურობს იქით-აქით,
ხან სად არის, რა დღეშია,
დღეს რომ ხობში დაინახავ,
ხვალ კურზუ და ბანძაშია.
ამოშალა სამჭედლოში
სიცილ-სიმღერების ძალა,
ყველას უკვირს რომ მჭედელი
ასე რიგად შეიცვალა.
ამაღამაც შორი გზიდან
ჩამოვიდა აგერ ახლა,
ცხენს საკაზმი რომ მოხადა
სათიბს შიგა შეუძახა.
ცოლი რიდით შეეგება,
ციდან მოდის ვერ იაზრა,
სველს ნაბადი გადააძრო,
სად იყავო, ვერა ჰკადრა.
ვახშამი რომ წინ დაუდგა
დაულაგა ტაბაკზედა...
აქ ორივე უცებ შეცბა
ცხენის ფეხის ხმაურზედა.
ამ დროს ძაღლმაც შეუტია
ღრენა-ღრენით, ყეფით ხაფად
და სტუმარმაც ხმააწევით
"მასპინძელო!" დაიძახა.
მასპინძელმა გამოხედა,
ჰა, სტუმარიც ქვე ჩამოხდა,
უტუმ იცნო ბულათია
ჩაეხვია, გადაკოცნა.
აბეზარვყავ გრძელი ლექსით
მსმენელი თუ წამკითხველი,
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის
ასე ამბობს რუსთაველი.
მაგრამ შოთა ერთი იყო
რა მაქცევდა მეორედა,
ვით ვიტყოდი მე იმგვარად,
ისე მოკლედ და მჭრელადა.
აწი მაინც მსმენელებსა
არ დავუხშობ ყურთასმენას.
გრძელი ლექსის დაწერისთვის
არ დავაშრობ საწერ-მელანს.
აწი სტუმარ-მასპინძელის
აღარ ავწერ ჩაცმულობას
თვით ამ მჭედლებს მოუსმინეთ
მივატოვე მათზე თხრობა.
უტუ
ბულათია! მიხარია
შენით გულის შეჯერება,
მაგრამ მიკვირს ასეთ დარში
კაცი ხარ თუ მოჩვენება!?
პირველია, ამ ხნის კაცნი
ასეთ ავდარს მივეგებეთ,
მინდორი ზღვას დაემგვანა,
სახლნი წყალზე ტივტივებენ.
ბულათია
ჩემი საქმე ისე წახდა
არ ვიცი რით მოევლება,
სხვას ვის ვუთხრა გასაჭირი,
სჯობს მეგობარს შეჩივლება.
ერთურთს ისე შევეზარდეთ
იცი ჩემი ხასიათი,
ეს შენ მუდამ მიჯერებდი,
არც მე ვიყავ უჯიათი.
ლხინში ერთად რომ ვიყავით,
ჭირსაც შუა ხომ ვიყოფდით,
კარგად იყო, ცუდად იყო,
მოვაღწიეთ ამადრომდის.
დღეს ისეთი დამემართა,
მახლავს ავი წინათგრძნობა.
ეჰ, ამაღამ დამთავრდება,
ჩვენი ტკბილად ყოფნა-ძმობა.

# მაფალუ

**"რადგან თავია სიცრუე ყოვლისა უბადობისა,**
**მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!"**
**/შოთა/"**

"მაფალუ"-სა და "მეგრული საკითხის" ისტორიამ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან მიიპყრო ჩემი ყურადღება. ეს ის დრო იყო, როცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ მისი უახლესი ისტორიის ასპირანტს დამიმტკიცა სადისერტაციო თემა და მისი შესრულების მიზნით შევუდექი სათანადო არქივის მასალების მობილიზებას. ამ დროს **"იმელის"**, ამჟამად საქართველოს პრეზიდენტის არქივის მასალებზე მუშაობისას წავაწყდი ერთ საქმედ გაერთიანებულ **"მეგრული საკითხის"** მასალებს. ეს იყო იშვიათი შემთხვევა, როცა მთელი პრობლემის ამსახველი ისტორიის წყაროები მკვლევარისაგან ხანგრძლივი უმადური ძიების აუცილებლობას კი არ მოითხოვდა, არამედ მოწოდებული იყო ერთიანობაში და მზამზარეულად. ამ საქმის ყურადღებიანი გაცნობით გავიგე, რომ ყალიბდებოდა **"უტყუარი"** კონცეფცია, რომელის მიხედვით ცხადი ხდებოდა სამეგრელოს მაგალითზე ამ რეგიონში დომინირებული მეგრული ენის გამოყენებით საქართველოს დეცენტრალიზაცია – დაქუცმაცების ხანგრძლივი ტენდენციებისა და პროცესების არსებობა. იგი სათავეს იღებდა XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან, ამ ხანებში წამოწყებული მეგრული ენის და სამეგრელოს გამოყენებით საქართველოს დაშლისათვის ცარიზმის რუსიფიკატორული საქმიანობიდან და გრძელდებოდა საბჭოთა 20-იანი და 30-იანი წლების შუახანებამდე, როდესც ამ **"ანტიეროვნულ საქმეს"** ეწეოდნენ უკვე არა ცარიზმის აგენტები, არამედ ჩვენი მოქალაქეები, უპირატესად ზუგდიდის ინტელიგენციისა და ხელმძღვანელობის წარმომადგენლებისა თუ მათი ლიდერის, ისაკი ჟვანიას მეთაურობით. მისი დასასრული მჭიდროდ უკავშირდებოდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობისა და მისი ბელადის ლავრენტი ბერიას **"ეროვნულ ღვაწლს"**.

დროთაგანმავლობაში მთელი რიგი ალტერნატიული წყაროების გაცნობამ დამარწმუნა, რომ ეს საქმე, რატომღაც, თეთრი ძაფით იყო შეკერილი და მაცდუნებლად შემონახული. მაგრამ პრობლემის ბოლომდე გარკვევას მირთულებდა ის, რომ **"მეგრული საკითხის" "მოგვარებასა" და "მაფალუელთა"** განადგურებაში ხელისუფლების აქტივისტებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული ეროვნული პატრიოტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამასთანავე ზოგ საკითხში მათი თვალსაზრისები თითქმის იდენტური იყო პარტიულ-სახელმწიფოებრივი კონცეფციისა. იმჟამად აღნიშნულ ეროვნულ მოღვაწეთა ავტორიტეტი გახდა ისტორიის სიმართლის გაგების ის უმთავრესი ბორკილი, რომელიც დიდხანს აბრკოლებდა პრობლემის ალტერნატიულ ახსნას. მაგრამ დროთა განმავლობაში მოცემული ისტორიის დამატებითი, ალტერნატიული წყაროების წარმოჩენამ და მათ მიმართ ჩემმა ინტერესმა მაიძულა არა მარტო პრობლემის ოფიციალურ-სახელმწიფოებრივი ვერსიის, არამედ მის გამზიარებელთა და მხარდამჭერთა ნააზრევის გაკონტროლება. ახლა იმ მიმართულებით ვიღვაწე, რომ მომეხერხებინა, არა მარტო მათი ეპოქის საიდუმლოებებთან კავშირში ამოცნობა, არამედ ილიას სწავლებით ჩვენი სათაყვანებელი მამულიშვილების **"ქერქში ჩაჯდომა"** და იმის ახსნა თუ რამ, რა აუცილებლობამ გამოიწვია ხელისუფლებასთან მათი ზოგჯერ სწორი, ზოგჯერ კი აშკარად ცალმხრივი და გაუმართლებელი სოლიდარობა. ამჯერად ეს იყო ყველაზე რთულად გადასაჭრელი ამოცანა. მაგრამ საბჭოთა სისტემის **"პერესტროიკის"** პროცესის კვალობაზე ისტორიის კვლევისა და გაშუქების ახალმა შესაძლებლობებმა, ახალი ინფორმაციის მოზღვავებამ და განსაკუთრებით კი ჩემ მიერ საიდუმლო არქივების შესწავლამ, შესაძლებლობა მომცა სხვის **"ქერქში ჩაჯდომის"** პრობლემა წარმატებოით მოეგვარებინა. გამოირკვა, რომ ისტორიის ეს პროცესი გარკვეულ კანონზომიერებასა და სლტერნატიულ ახსნას ექვემდებარებოდა.

90-იანი წლების დასაწყისში შევძელი ხელნაწერის სახით მომემზადებინა დოკუმენტურ-ანალიტიკური ხასიათის ალტერნატიული მონოგრაფია. ამის შესახებ პირველი განცხადება გამოვაქვეყნე ჩემს მონოგრაფიაში ("ჩეკისტური ბრალდებები შალვა ნუცუბიძის მიმართ და მათი დოკუმენტურ-ანალიტიკური კომენტარები". თსუ 1998), სპონსორების საყურადღებო დართულ, გამოსაქვეყნებლად მომზადებულ ნაშრომთა ჩამონათვალში, სადაც მივუთითე, რომ მომზადებული მქონდა ნაშრომი **"მაფალუ" ვითომ მეგრელთა სეპარატისტული ორგანიზაცია"**.

1990-2000-იანი წლების ზღვარზე, როცა საქართველოში მიმდინარე მტკივნეული პროცესების გაყალბებამ და სიმართლის აღქმა-გაშუქების საზოგადოებრივმა ინტერესმა კიდევ უფრო მკაფიოდ დააყენა **"მაფალუ"-ს და "მეგრული საკითხის"** ყალბი ისტორიის კრიტიკის და მართალი ისტორიის გაშუქების აუცილებლობა, ჩემ მიერ 2003 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიას ("სიმართლე 1921-1923 წლების ეროვნული მოძრაობისა და მიხეილ ჯავახიშვილის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ" გვ.469) პოტენციური სპონსორის მოსაზიდად და 80 წლის მანძილზე გაყალბებული პრობლემის მართალი ისტორიის გაშუქების გაცნობიერების მიზნით, დავურთე ჩემი ალტერნატიული, ხელნაწერი მონოგრაფიის მოკლე ანოტაცია:

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

### ციტატა-შეხსენება

საბაზრო ეკონომიკის თეორეტიკოსი ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი წერდა: "ლიბერალური საზოგადოების არსებობისათვის აუცილებელია, რომ ადამიანები ზოგიერთი ბუნებრივი ინსტინქტებისაგან გათავისუფლდნენ, განსაკუთრებით სოლიდარობისა და შეცოდებებისაგან". აღიარა რა, რომ ეს ბუნებრივი, თანდაყოლილი ინსტინქტებია, მან ხაზი გაუსვა თანამედროვე საზოგადოების პროექტის სიდიადეს – ადამიანის ახალ ბიოლოგიურ სახეობად გადაქცევას (ამას, სხვათა შორის, ემსახურება ამერიკული კინოინდუსტრია, თავისი სასტიკი მკვლელობებით, ძალის კულტით, მარტოხელა გმირებით და ა.შ.). იმის, რაზეც ოცნებობდა ფრიდრიხ ნიცშე, როცა "ზეადამიანის" სახეს ქმნიდა, მე-20 საუკუნის დასასრულს რეალობად გადაქცევას ცდილობენ. შეგვიძლია და გვინდა კი ჩვენ, ქართველებს, უარი ვთქვათ ჩვენი ერის, რელიგიის, კულტურის დამახასიათებელ ძირითად თვისებებზე და ახალ "ბიოლოგიურ სახეობად" გადავიქცეთ?"ართული საზოგადოების პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური, კულტურულ-ზნეობრივი მდგომარეობის ანალიზი მოწმობს, რომ იგი კვლავ რჩება მძიმე სისტემურ კრიზისში. ქვეყნის სავალალო მდგომარეობის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ბოლო წლებში გატარებული "რეფორმების კურსი", რომელიც სრულიად უგულვებელყოფს მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ძირითად ტენდენციებს, რეალური მეცნიერების მიღწევებს, საქართველოს სამეურნეო კომპლექსის სპეციფიკას, ქართველი ხალხის კულტურულ თავისებურებებსა და ტრადიციულ ფასეულობებს. მიმდინარე "რეფორმები" უპირისპირდებიან ქართული ისტორიის მსვლელობას, მოქალაქეთა უმრავლესობის ნებას, კონკრეტული ადამიანების ინტერესებს. სახელმწიფო დონეზე განხორციელებულმა ტოტალური ნგრევის კონცეფციამ, ეროვნული ინტერესების, მიზნებისა და იდეების დაკარგვამ თუ გაუგებლობამ გამოიწვიეს ის, რომ "რეფორმების" პროცესში ყალიბდება საზოგადოება, რომლისკენაც არავინ არ მიილტვოდა და რომელიც არავის უნდოდა"

ალექსანდრე ჭაჭია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამეგრელო და სვანეთი




ამ წიგნის ავტორის, კორნელი ბოროზდინის სამსახურეობრივი კარიერა კავკასიაში დაიწყო. იგი ჯერ მთავარმართებლის კანცელარიაში მუშაობდა, შემდეგ კი (1854 წელს) სამეგრელოს დედოფალთან მიავლინეს მიწერ-მოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად. 1858 წელს დაინიშნა სენაკის ოლქის უფროსად, სადაც 1867 წლამდე იმსახურა. სწორედ აქ გაეცნო იგი სამეგრელოს მოსახლეობის ყოფას, რომელიც საინტერესოდ აღწერა თავის წიგნში.
ბოროზდინის მოგონებებში საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული ოსმალეთის ჯარების მიერ სამეგრელოს აწიოკება, რომელიც შემდეგ რუსმა ჯარისკაცებმა ალაგმეს.

## კორნელი ბოროზდინი

ამ დილას დედოფალი, მასთან ერთად ჭყონდიდელი, კონსტანტინე და დიასახლისი მენიკი გადმომდგარნი იყვნენ აივანზე, რომელიც ტეხურს გასცქეროდა. გრიგოლი თავის ახლობელ კაცებით ცალკე მოშენებულ სახლში იდგა, ხოლო ამალა ეზოში ჩერდებოდა განიერ ტოტებიან ხეების ჩრდილში.

ქვაშხორი ეკატერინეს ცხოვლად მოაგონებდა მისის ცხოვრების მეორე, სულ ახლანდელ ეპოქას. 1855 წელს, ე.ი. მხოლოდ ამ ორს წელს წინად, ოსმალთ შემოსევის დროს, აქ ექვს თვეზე მეტს იცხოვრა თავის შვილებთან და დასთან ნინო გრიბოედოვასთან ერთად. აქედან ორ ვერსზე, ტეხურს გაღმა, სოფ. სორტაში იდგა გურულების რაზმი; ზამთრის საღამოებზე მასთან მოდიოდნენ მისი ნაცნობი ოფიცრები და დრო თითქმის შეუმჩნევლად მიდიოდა; ზოგიერთი მათგანი შემდეგში ინგურზე ომერ-ფაშასთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნენ; აქ მოუვიდა სამგლოვიარო ამბავი იმპერატორ ნიკოლოზის გარდაცვალებისა, ამბავი, რომელმაც ყველა ძაძებით შემოსა სწორეთ იმ დროს, როცა სამწუხარო ომს ვაწარმოვებდით მთელის ევროპის შეერთებულ სახელმწიფოებთან; აქავე ინახულა დედოფალი ახლად დანიშნულმა მეფის ნაცვალმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მურავიოვმა. მრისხანე და მოქუფრული სახე ჰქონდა გენერალს: პეტერბურგიდან გამოსვლის წინ ბაასი ჰქონია იმპერატორთან და ამ ბაასის შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა, ისე ტფილისში ჩასვლამდე უკანასკნელ სადგურზე, ღართისკარში, სადაც ღამის გასათევად იყო გაჩერებული, ფელდეგერმა გაალვიძა და იმავე იმპერატორის გარდაცვალება მიუსამძიმრა. "ნეტარხსენებულმა საფლავში ჩაიტანა, — უთხრა მურავიოვმა აქ შეხვედრის დროს დედოფალს, — ჩემთვის ჩამორთმეული სიტყვა — მეტად ხელმოჭერილი ვყოფილიყავ და დამეზოგნა ხაზინა, ხალხის მწარე ოფლით შეგროვილი და ომისგან განლეულიო". და მურავიოვმი მართლაც რომ უსაზმოდ ხელმოჭერილი იყო როგორც ფულისა, ისე ჯილდოების გაცემაში და კავკასიაში ბევრი მომდურავი ჰყავდა. დედოფალს ჯერ ისევ პატარა გოგოს იცნობდა და ენათესავებოდა კიდეც თავის პირველი ცოლის, ახვერდოვის ქალისაგან; მასთან რამდენსამე დღეს დარჩა სტუმრად და აქედან იძლეოდა საჭირო განკარგულებას სამეგრელოს დასაცავად, თუ ვინიცობაა მტერი შავი ზღვის ნაპირას ჯარს გადმოსხამდა. იმავე ქვაშხორში, რამდენსამე თვეს უკან, ომერ-ფაშის მიერ სამეგრელოს დაპყრობის დროს, დედოფალს მისთვის მეტად დიდის მნიშვნელობის ბაასი ჰქონდა თავად ბებუთოვთან, და ამ ბაასს შემდეგ თვითონ გაუძღვა თავისს მილიციას და ბრძოლის ველზე გამოჩნდა.

აი, ასეთ შფოთიერ მოგონებათა შემდეგ, რომელნიც უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ წარსულ ომთან ახლა დედოფალი იძულებული იყო ხელახლა განეცადნა იმავე ქვაშხორში არანაკლებ შფოთიერი წამები, მხოლოდ ახლა კი სულ სხვა მიზეზთა გამო. სამძიმო იყო მისი როლი ყირიმის ომის შემთხვევითი გარემოებათა დროს, მაგრამ, რაც უნდა ყოფილიყო, იგი მაშინ მარტოდ-მარტო არ ყოფილა და საერთო ამბებს უკან მისდევდა, ახლა კი თვალწინ ედგა ამბოხება, რომელმაც მას ხანგრძლივად აქ არყოფნის დროს სამეგრელოს საზოგადო ცხოვრება ესოდენ ძლიერად შეარყია, მისი მდგომარეობა, როგორც დედოფლისა, სასწორზე იქნა დადებული. ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული, თუ რა კავშირი ჰქონდა გლეხთა აჯანყებას მის პირად მტრებთან. მართალია, დედოფალი იყო, მაგრამ ის რეჟიმი, რომლის წარმომადგენელი ის იყო, იმას არ გამოუგონია, არამედ ქმრისგან გადმოვიდა მის ხელში, მემკვიდრეობით. და რაკი იგრძნო, რომ ამ ამბავს თავს ვერ გაართმევდა, გადასწყვიტა შველა ეთხოვნა კოლუბიაკინისათვის; ეგონა, საკმაო იქნება გამოჩნდეს რამდენიმე ასეული ყაზახ-რუსი, გაჰფანტონ გლეხთა ბრბოები, რომ ყველაფერი დამშვიდდეს და წინანდელ კალაპოტში ჩადგესო. იმედი ჰქონდა, გენერალი ჩამოვა თუ არა, ამ ამბავს ერთბაშად მოეღება ბოლოვო. ამ დღეს ჩვეულებრივ ადრე ადგა, მოუთმენლად დადიოდა ტერასაზე, ერთთავად ტეხურისაკენ ეჭირა თვალი, ამ მდინარეზე გადიოდა ქუთაისიდან მომავალი დიდი შარა-გზა.

* * *

დილის 10 საათისათვის ამ მხრიდან გამოჩნდა ცხენოსანი, რომელთაც ოთხანალებ მოარბენინებდა თავისს მერანს. რამდენსამე წამს უკან მისგან გაიგეს, რომ თვითონ გენერალიც მოდიოდა. მეოთხედ საათს უკან აყენებულ მტვერზე მიხვდნენ მისს მოახლოვებასაც. ეტლს გარშემო სქლად ეხვივნენ ყაზახრუსები და სულ მოკლე ხანში გენერალი უკვე მენიკის სასახლეში შემოვიდა.

მეტად მხურვალე და მეგობრული მისალმება-მოკითხვის შემდეგ, რამაც დედოფალს ცრემლიც კი მოგვარა თვალებზე, ეკატერინე კოლუბიაკინს ყველაფერს მოუყვა. მის ნათქვამიდან ის-ღა სჩანდა, რომ მთელი ბრალი გრიგოლს ედებოდა. "მეო — მოუყვა ეკატერინე, — სამეგრელო სრულებით დამშვიდებული დავუტოვე და ამან კი მუხანათურად ამიჯანყა ხალხი თავის მართვა-გამგეობითო. დაახლოვებია ჩემი ოჯახის მტერ ბატონიშვილებს, ხოლო დასცინოდა თურმე იმათ, ვინც ჩემი ერთგული იყო და ვინცა სცდილობდა გლეხთა აჯანყება თავშივე ჩაექრო, ასეთებს უდიერად ეპყრობოდა თურმე. ეს ჯანყი, მისის წყალობით, საშინლათ გაზდილია და ახლა, როცა პეტერბურგიდან დავბრუნდი, თავის მანქანებით ხელს მიშლის მხარე დავამშვიდო. საქმე იქამდე გამიჭირდა, რომ იძულებული ვარ ჩემ ნათესავ ქალის სახლში ვეძიო თავშესაფარი, მაგრამ აქაც უშიშრად არ ვარ: აქედან სულ რამდენისამე ვერსის მოშორებით გლეხების აუარებელი ბრბოა გაჩერებული და შემოტევას გვიქადის, ვიცი, ამ გლეხებმა რა დღე დააყენეს თავის ბატონებს, და ადვილად შესაძლებელია, მეც გამიბედონ ყოველგვარი სისაძაგლე. სანამ სამეგრელოს დავამშვიდებდეთ, საჭიროა აქედან გრიგოლი სხვაგან წავიყვანო სადმეო".

დედოფლის ნათქვამის მეტ წილს იმდენი სიმართლე ერია, რომ კოლუბიაკინს, რომელიც კარგათ იცნობდა ორსავე ძმას და აგრეთვე იცოდა, ერთმანეთთან მუდამ რა უთანხმოება ჰქონდათ, ეკატერინეს აზრი ჭკუაში დაუჯდა და როცა გრიგოლის ბრალდება წაუყენა და ამან თავის მართლება დაიწყო, კოლუბიაკინმა შეაჩერა:

— ხო გესმით, თავადო, — უთხრა გენერალმა, — მე თქვენ ისე კი არ გელაპარაკებით, როგორც კერძო კაცი. არც ტყუილა-უბრალოთ გელაპარაკებით თქვენა და თქვენც, თავადო, — აქ კოლუბიაკინი მიუბრუნდა კონსტანტინესაც, — მეფის ნაცვლის სახელით წინადადებას გაძლევთ, დაუყოვნებლიც წახვიდეთ ტფილისში... თქვენ, რა თქმა უნდა საუკეთესოდ ჩასთვლით ისწრაფოთ ჩემი წინადადება აასრულოთ და ამით მე იძულებულ არა მყოთ უეჭველათ მოგთხოვოთ ისე მოიქცეთ როგორც გეუბნებით.

კოლუბიაკინი აღარც იმას მოერიდა, რომ გრიგოლი იმაზე მაღლა იდგა ხარისხით, ე.ი. რომ გენერალ-ლეიტენანტი იყო.

მის სიტყვებს შემდეგ, განსვენებულის მთავრის ძმებმა ულაპარაკოთ თავი დაუკრეს და განშორდნენ, ხოლო რამდენსამე საათს უკან უკვე ტფილისისაკენ მიმავალ გზას ადგნენ.

ამასობაში კოლუბიაკინმა დედოფალთან ისაუზმა, ნასაუზმევს შეკაზმული ცხენი მოითხოვა და გამყოლებს უბრძანა წაეყვანათ მახლობლად დაბანაკებულ მეამბოხეებთან.

ყაზახრუსების თანხლებით სოფელ შხეფიდან ხუთიოდე ვერსი რომ გაიარა, გენერალმა შენიშნა მოშორებით გზაზე რამდენიმე ცხენოსანი, რომელთაც დაინახეს თუ არა, იქიდან ცხენები მოაბრუნეს და გაიქცნენ. გამყოლებმა გენერალს უთხრეს, ესენი ბრბოს ცხენოსანი დარაჯები არიანო. გენერლის ბრძანებით ყაზახრუსები გამოედევნენ, მაგრამ ვერას გახდნენ: ცხენოსნები, რომელთაც ტყეში ყოველი ბილიკი იცოდნენ, იქით-აქეთ გაიფანტნენ და გაუჩინარდნენ, თითქოს დედამიწამ პირი უყოვო. მერვე ვერსზე გენერალი შედგა ერთ გორაკზე, რომელზედაც ზუგდიდის გზა გადიოდა, და მის წინ გადაიშალა ფართე მინდორი, რომელიც ერთ ხშირ ტყის ბუჩქიან და აქა-იქა ხეებიან ნაპირს ეკვროდა. მინდორზე დაინახა მრავალრიცხოვანი ბრბო გლეხებისა, რომელნიც სამხედრო წესზე დაბანაკებულიყვნენ. თამამად შეიძლებოდა თქმა, რომ სულ ათიათას კაცამდე იქნებოდა; გლეხები დიდ სივრცეზე იყვნენ გაშლილნი და ბოშების უშველებელ ბრბოს მოგაგონებდათ. ქოხები, სახელდახელო ფარღალალა ფარდულები, რაღაც ნახევებისგან შეკონკილები, ურმები, დანთებული ცეცხლი, ცხენები, ძროხები, ცხვრები, დედაკაცები, მამა-კაცები, ნახევრადშიშველა ბავშვები — ყველაფერი ერთმანეთსი არეულიყო და მეტად ჭრელს სანახაობას წარმოადგენდა. ბრბოში ფაცა-ფუცი და ჩოჩქოლი შექმნოდათ; ალბათ დარაჯებმა შეატყობინეს ყაზახრუსის მოახლოვება, და უკვე სჩანდა, რომ შარაგზაზე ხალხი ჰგროვდებოდა და ისმოდა საყვირის ხმა, რომელიც შესაგროვებლად მოუწოდებდა ხალხს. როცა გენერალსა და ხალხს შუა სულ ნახევარ ვერსის მანძილი რჩებოდა, ხალხი გენერლის მისაგებებლად წამოვიდა, წინ მოუძღოდა წითელ არშია შემოვლებული ქუდიანი კაცი, მხარზე ხმალ გადაკიდებული, — გამყოლებმა აუხსნეს გენერალს — ის ბრბოს მეთაური, მჭედელი მიქავა არისო.

ძნელია დაწვრილებით წარმოვიდგინოთ ის პროცესი, რომელიც ასეთ ბრბოებს წარმოშობდა და ამ ზომამდე გაზრდიდა, და უფრორე ძნელია ადამიანს მოვუყვეთ მათის წოწიალით ცხოვრების ამბავს მთელის ნახევარ წლის განმავლობაში; მხოლოდ ის არის უეჭველი, რომ ამ ბრბოში შესულნი იყვნენ ისეთნი, ვინც სასოწარკვეთილაბემდე იყვნენ მისულნი დაუსრულებლის დევნულებითა და ტანჯვა-წამებით და თავი მოეყარათ რამდენსანე გულად ვაჟკაცების გარშემო, რომელთაც მეთაურების ადგილები დაეჭირნათ. ამისათვის, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ბატონის ძალაუფლებისათვის, რომ მას კრიჭაში ჩასდგომოდნენ ეჯობნათ მისთვის, რომ ხელფეხის შეკვრით ადგილობრივის ადმინისტრაციისათვის და დასასრულ, იმისთვის, რომ დაეწყოთ რაღაც არანორმალურიდამოუკიდებელი არსებობა, — გლეხებს ოღონდაც უნდა გამოეჩინათ დიდი ენერგია როგორც აქტიური, ისე პასიური. გენერალი, მაშასადამე, თავის წინაშე ხედავდა ხალხის დუნდგოს, თავზე ხელაღებულს, და არ იცოდა, ეს დუნდგო რასა ჰფიქრობდა, გულში რა ედო; აბა, რა ღა თქმა უნდა, ყაზახრუსები, მას რომ მოჰყვებოდა, სრულებით საკმარისნი იყვნენ არამცთუ მათს გასარეკად, არამედ ამოსაწყვეტადაც; ამ ხალხის გროვას ეს თვითონაც უნდა ჰქონოდა შეგნებული, მაგრამ, მიუხედავად აშკარად მოსალოდნელი საშიშროებისა, ეს ხალხი იმისკენ მიდის შესახვედრად. გენერალმა ცხენს დეზები ჰკრა და სულ მიუახლოვდა. ხალხი გაჩერდა, ამან ცხენს სადავე მოსწია და ხმამაღლა შესძახა:

— მოიხადეთ ქუდები და დაიჩოქეთ!

ეს სიტყვები ძალიან ნაცნიბებია, რომ მათს ორიგინალობაზე ვილაპარაკოთ; ოდესღაც ამ სიტყვებით დაიწყო იმპერატორმა ნიკოლოზმა აჯანყების ჩაქრობა სენნაიას ქუჩაზე; მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ეს სიტყვები, კოლუბიაკინის მიერ განმეორებული, ძალზე თავის დროზე და თავის ალაგას იყო ნახმარი.

როცა რაფიელ ერისთავმა მისი ნათქვამი ხმამაღლა გადათარგმნა ქართულად, ხალხის დუნდგომ იმ წამსვე მოიხადა ქუდები და დაიჩოქა.

ამ მოძრაობას საერთო არაფერი ჰქონდა ხალხის იმ მოძრაობასთან, რომელიც შიშის გავლენით ხდება; ეს მოძრაობა უმალ მოგაგონებდათ იმ მოძრაობას, როცა ხალხი მუხლს იდრეკს მის მიერ ხილულ და სათაყვანო ძლიერების განსახიერების წინაშე. შიშის ადგილი აქ დაჭერილი ჰქონდა უსაზღვრო მორჩილებას და ნდობას. საკმაოდ კარგხანს გაგრძელდა დუმილი, ბუზი რომ გაფრენილიყო, გაიგონებდით. დაჩოქილმა ხალხმა თავები ჩაჰქინდრა. ყაზახრუსები, გენერლის ბრძანებით, გარსშემოერტყნენ.

— თქვენმა დედოფალმა, — დაიწყო კოლუბიაკინმა, — მთხოვა მოვსულიყავი და თქვენს ურჩობაზე ხელი ამეღებინებინა. ეს ნახევარი წელიწადია, რაც კანონიერ ხელისუფლებას აღარ ემორჩილებით თურმე. თვით დედოფალმა თურმე ბევრი გირჩიათ, მაგრამ თქვენს მორჯულებას მაინც არაფერი ჰშველებია. ქთვენს მებატონეებს არამც თი გამოქცევიხართ, არამც თუ არ აძლევთ, რაცა გმართებსთ მათი, არამედ იმ ზომამდე გაკადნიერებულხართ, რომ ვინც ხელში ჩაგივარდებათ, დაუსჯელათ არ უშვებთ. ნუ თუ გგონიათ, რომ სულ ასე შეგრჩებათ? მე მოვედი თქვენს დასასჯელად და აქედან მანამდე არ წავალ, თუნდაც იძულებული ვიქნე ერთი ცოცხალი არ გაგიშვათ...

# უტყუარი ჭეშმარიტებაა: ჭეშმარიტებამდე მუდამ ერთი ნაბიჯია ("კავკასიური ნახშირის წრე")



მონაწილეობენ: წვერგაუპარსავი დავითი და აკაკი!.. მათი გვარები ვერ დავადგინე, რადგან გვიან გადავერთე **„კავკასიაზე“** და წამყვანს ისინი შემდგომ არ უხსენებია. ეტყობა იმდენად პოპულარულები არიან, ისედაც უნდა ცნობდეს ტელემაყურებელიო... მაგრამ, რადგანაც მე ამ ტელემაყურებლებს არ მივეკუთვნები, თუ არ გამინაწყენდებიან უბრალოდ სახელებით მოვიხსენიებ მათ.

მოვისმინოთ ტელედიალოგი:

**წამყვანი**: თქვენ ამბობთ, რომ უცნობის ღობეზე, შიშველი ხელებით გადასვლა პოლიციაზე თავდასხმა იყო?

**დავითი და აკაკი**: რა თქმა უნდა თავდასხმა იყო!

**წამყვანი**: რითი ამტკიცებთ, რომ იგი (უცნობი!) თავს ესხმოდა პოლიციას?

**დავითი და აკაკი**: მას წინააღმგეგობას უწევდა პოლიცია, რაც იმის ნიშანი იყო, იგი არ უნდა გადასულიყო ღობეზე!

**წამყვანი:** 2003 წლის 23 ნოემბერს სააკაშვილის შეჭრა პარლამენტში იყო თუ არა თავდასხმა?

**დავითი და აკაკი**: არა, ის თავდასხმა არ ყოფილა!

**წამყვანი:** როგორ თუ არა, ათასობით აგრესიული ადამიანი შეჰყვა მას შევარდნაძის პარლამენტში, ეს თავდასხმა არ იყო?

**დავითი და აკაკი:** არა, ეს არ ყოფილა თავდასხმა, რადგან სააკაშვილს და მის მომხრეებს წინააღმდეგობას არავინ უწევდა!

**წამყვანი:** ვერ გავიგე, ხელცარიელი უცნობის ღობეზე გადასვლა თავდასხმა იყო, სააკაშვილის ათასობით აგრესიულ მხარდამჭერთან ერთად პარლამენტის სხდომაზე შეჭრა კი ჰუმანიტარული აქცია?

**დავითი და აკაკი:** თქვენ ამას ვერ გაიგებთ, თავდასხმაა მაშინ, როცა წინააღმდეგობას გიწევენ! **“უცნობს”** პოლიციელები უწევდნენ წინააღმდეგობას, ამიტომაც იყო ის თავდასხმა! სააკაშვილისთვის 2003-ში არავის გაუწევია წინააღმდეგობა, ამიტომაც არ შეიძლება მას თავდასხმა უწოდო, იგი მშვიდობიანი აქცია იყო!

– თქვენ ამას ვერ გაიგებთ, სააკაშვილისთვის მაშინ წინააღმდეგობა არავის გაუწევია!

ასე გულამოსკვნით უხსნიდა და უმტკიცებდა დავითი და აკაკი ტელეკომპანია **“კავკასიის”** წამყვან ქალბატონს პოლიციის დეპარტამენტზე უცნობის **“თავდასხმასა”** და სააკაშვილის შევარდნაძის პარლამენტში მშვიდობიან **“შესეირნებას”** შორის განსხვავებას...

– ღმერთი აგაშენებთ, მე-6-ე წელიწადია ვამტკიცებთ: არავითარი **“რევოლუცია” და “ვარდები”** არ ყოფილა 2003 წლის ნოემბერში!..

– შევარდნაძემ მისსავე გაწვრთნილ, მასზე უფრო ახალგაზრდას და ენერგიულ ქვეყნის დამაქცევარს გადააბარა ძალაუფლება!..

– ბატონო დავით, ბატონო აკაკი – თქვენ იმისთვის ხომ არ შემოგაგზავნეს **“კავკასიაში”** ცოდვა მოინანიოთ?.. თუ ასეა არასწორ მისამართზე ხართ მოსული! ვითომ მიამიტად თქვით ექვსი წლის წინანდელი სიმართლე და იქნებ ეს აღიარება საჭირო მომენტში გულახდილობაში ჩაგვეთვალოსო, კარგი ნიშანია, ქრისტიანულ საქციელს რომ გავს, მაგრამ თქვენს ქრისტიანობას რომ არავინ დაიჯერებს, ეს ხომ თქვენ ყველაზე კარგად იცით?

რეალობა ერთია მხოლოდ: დაქცეული, განადგურებული, გაუბედურებული ხალხის სამსჯავროზე წარდგომა მაინც არ აგცდებათ!..

– ახლა კი ასიათასობით ჩემსავით ქედზე ფეხდაბიჯებულთ მინდა მივუბრუნდე: როდემდე გვინდა ასეთ დღეში ყოფნა?

... 2003 წლის ნოემბერში შვეიცარიაში ვიყავი საქმიან შეხვედრებზე. დრო და დრო გერმანიაში გვიწევდა ჩამოსვლა ჩემს პარტნიორებთან ერთად. ამის გამო, ორ ნოემბერს საქართველოში დაწყებულ მღელვარებას ხან შვეიცარიაში, ხან კიდევ გერმანიაში ვადევნებდი თვალს. უამრავ კითხვაზე მიწევდა პასუხის გაცემა, თუ რა ხდებოდა საქართველოში და ცხადია კითხვების უმრავლესობა შევარდნაძეს ეხებოდა, რომლის წინააღმდეგაც ქვეყანა ყალყზე იყო დამდგარი.

თითქმის შეუძლებელი იყო გერმანული აუდიტორიის დარწმუნება, რომ შევარდნაძემ დააქცია საქართველო და ხალხი სამართლიანად ითხოვდა მის მოშორებას. ყოველივე ამას თავისი მიზეზები გააჩნდა – ქვეყნის შიგნით და მის გარეთ დაუღალავად მუშაობდა შევარდნაძის დაქირავებულ მეხოტბეთა გუნდი, რომლებიც მიწასთან ასწორებდნენ ყველაფერ ღირებულ ქართულს და ცამდე აჰყავდათ ქვეყნის დამაქცევარი და გამყიდველი შევარდნაძე. გერმანიაში კი ეს საგანგებოდ კეთდებოდა – პირდაპირ გერმანულ ენაზე იწერებოდა წიგნები ქართველი ავტორების მიერ, სადაც ქართული ეროვნული მოძრაობა და იარაღით დამხობილი ეროვნული მთავრობა მიწასთან იყო გასწორებული. ამ სამსახურისთვის მისი ავტორები, არა მარტო საკუთარ თავს, რამდენიმე თაობის უზრუნველ ცხოვრებას იწყობდნენ.

...ციხე შიგნიდან კარგა ხნის გატეხილი იყო, როცა შევარდნაძემ თვითონვე **“აიმხედრა”** 2003 წლის ნოემბერში საქართველო. ახლა საჭირო იყო გატეხილი ციხის დამხობა და მიწაზე დანარცხება, ისე რომ თვითონ არ მოჰყოლოდა შიგნით, რაც ახალ ძალას უნდა გაეკეთებინა. ამ ძალის მოყვანას პოლიტიკური ჟარგონით თუ ვიტყვით **“კარგად შეფუთვა”** ჭირდებოდა და მომხდარის რეალობაში არა მარტო საქრთველოში, არც უცხოეთში უნდა შეპარვოდა ვინმეს ეჭვი, რაც 21 დღე გაგრძელდა 2003 წლის ნოემბერში...

– სწორედ ამ დაძაბულ დღეებში, ბერლინში სასტუმრო **“კოლუმბუსში”** ამბავი გადმომცეს პროფესორი, დოქტორი, ცნობილი გერმანელი პოლიტოლოგი არნულფ ბარინგი გეძებსო. ტელეფონის ნომერი დამახვედრეს სერვისში, დამიკავშირდესო. ბატონ ბარინგთან შეხვედრას სხვა დროს ვერც ვიოცნებებდი და ცხადია ეს შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი. რამდენიმე საათში **“ალექსანდერპლატცზე”** შევხვდით კიდეც ერთმანეთს. მე მისი ცნობა არ გამჭირვებია, კვირაში ორჯერ მაინც ვხედავდი ტელევიზიით; მისი მეუღლე, ცნობილი პოლიტიკური ჟურნალის რედაქტორი გაბრიელა ბარინგიც რომ მოვიკითხე დიდხანს არ უფიქრია ისე შემომთავაზა:

**“თუ წინააღმდეგი არ იქნებით ჩემთან სახლში დაგპატიჟებთ, გაბი ყავით გაგვიმასპინძლდება, თან ვისაუბრებთო!..”**

– ასე აღმოვჩნდი ბარინგების ოჯახში 2003 წლის 18 ნოემბერს. ჩემთვის ცხადი იყო ბარინგები მხოლოდ ჩემი მასპინძლობისთვის არ იკლავდნენ თავს, მათ საქართველოში მიმდინარე პროცესები აინტერესებდათ და შეძლებისდაგვარად მოვემზადე სასაუბროდ. ბატონმა ბარინგმა ამიხსნა – დოქტორ რაინერ გაისლერისგან ჰქონდა ჩემს შესახებ ინფორმაცია და ამიტომაც შემხვდა უკომპლექსოდ. ხანმოკლე შესავალის შემდეგ პირდაპირ მივადექით თემას, რომელიც მას აინტერესებდა – საქრთველოში შექმნილი პოლიტიკური კრიზისი!

ეს თემა მამაო ჩვენოსავით მქონდა გაზეპირებული და საქართველოს თითქმის ბოლო ნახევარი საუკუნის ისტორია გადმოვუფინა საათნახევარში. ერთადერთხელ შემაწყვეტინა საუბარი. ჩემი მონოლოგის პირველი ხუთი წუთიც არ იყო გასული, მთხოვა – **“თუ შეიძლება საუბარს დიქტოფონზე ჩავიწერო!”** მე ავუხსენი თუ იგი მას რადიოსთვის უნდოდა, მაშინ მე საგანგებო მომზადებასთან ერთად განწყობაც მჭირდებოდა და ეს არ გამოგვივიდოდა... იქვე დამამშვიდა: **“ორ დღეში პოლიტიკური დებატები გვაქვს ტელევიზიაში და იქ საქართველოს შესახებ მექნება მოხსენება. თქვენ ისე საინტერესოდ საუბრობთ, ყველაფერს ვერ ჩავინიშნავ და ამიტომ გთხოვეთ დიქტოფონში ჩაწერაო!”**

რა თქმა უნდა მე არაფერი მქონდა საწინააღმდეგო და ასე ჩავაბარე საათნახევრიანი **“აღსარება”** ჩემს სამშობლოს უბედურებად თავს დატეხილ ედუარდ შევარდნაძის ავ საქმეებზე, კომუნისტების დროიდან მოყოლებული – 1989 წლის 9 აპრილის სისხლიანი ღამის, 1991-92 წლების პუტჩის, საკუთარი ტახტის შესანარჩუნებლად აფხაზეთის და სამაჩაბლოს გაწირვის, სახელმწიფოს ძარცვის დაკანონების, ქვეყნის მორალური და ზნეობრივი სახის შერყვნის ჩათვლით.

მონუსხულივით მისმენდა საქვეყნოდ ცნობილი პოლიტოლოგი და დრო და დრო გაბის (მეუღლეს) გადახედავდა გაოცებული – გესმის თურმე რა ხდებაო!

ბარინგების ოჯახს ნაცნობები ჰყოლიათ თბილისში (სამწუხაროდ მათი გვარები არ ჩამინიშნავს), მაგრამ საქართველოზე ინფორმაცია მხოლოდ ნაირა გელაშვილის (მოგვიანებით მეც გავეცანი ამ წიგნს, რომელიც როგორც ჩანს სპეციალურად დაიწერა გერმანულენოვანი მკითხველისათვის და ქართული, ეროვნული მოძრაობის და იარაღით დამხობილი ეროვნული მთავრობის გათახსირება და შევარდნაძის უსინდისოდ ხელაღებული ხოტბაა მხოლოდ!..) წიგნიდან და ზოგიერთი ქართველი გერმანულენოვანი ჩინოვნიკებისგან გვქონდაო...

ჩემთვის ნათელი იყო გელაშვილები, გაბაშვილები, კარტოზიები და ვინ მოთვლის კიდევ რამდენი დაქირავებული, სატანას სულმიყიდული ქართველი ასხამდა ჩვენს სამშობლოს თავსლაფს გერმანიაში და ყველგან, სადაც კი სიტყვა მიუწვდებოდათ, ოღონდ საკუთარი ცხოვრების მოწყობის გარანტია მიეღოთ, რაც გაცილებით წარმატებით გააგრძელა შევარდნაძის მოყვანილმა სააკაშვილმა და მისმა უმწიფარ ბავშვთა მთავრობამ!..

... სააკაშვილზე რას იტყვით, ხალხი თუ დაუჭერსო მხარს! – მკითხა ბატონმა ბარინგმა!

არ დავფიქრებულვარ ისე ვუპასუხე: ოღონდ ედუარდ შევარდნაძე გადაშენდეს და ყველაზე საძაგელი ბოლშევიკი რომ გააცოცხლო და ხალხს სათავეში დაუყენო, იმასაც გაჰყვება მეთქი... სამწუხაროდ ეს მაშინ მართლა ასე მოხდა!

... შედეგი სახეზე გვაქვს – შევარდნაძის გასხვისებული აფხაზეთი და სამაჩაბლო, სააკაშვილმა იურიდიულად გადაუფორმა რუსეთს. როცა დასჭირდება მის ოპონენტებს რუსეთის აგენტებს ეძახის, თვითონ კი რუსეთის მოქალაქეები მთავრობის უმაღლეს ეშელონებში მოჰყავს, არაფერს ვამბობთ სახელმწიფო სტრატეგიული ობიექტების რუსებისთვის გადაცემაზე!..

ბოდიშს მოგიხდით, სიტყვა გამექცა!

– ბერლინში ბარინგებთან საუბრის მესამე დღეს 2003 წლის 21 ნოემბერს ბატონი არნულფი გერმანიის ტელევიზიით უყვებოდა ტელემაყურებელს საქართველოში მიმდინარე მოვლენებზე. იგი დამაჯერებლად ასაბუთებდა შევარდნაძის გადადგომის აუცილებლობას, მაგრამ უკიდეგანოდ განსწავლულ და გამოცდილ პოლიტიკოსს არც ის გამორჩენია ეთქვა **“ხომ არ არისო მომავალი პრეზიდენტობის კანდიდატი ნამეტანი ახალგაზრდა?!.”**

ბატონმა ბარინგმა რა იცოდა (არც ჩვენ არ ვიცოდით!) მარტო პრეზიდენტის ახალგაზრდობა რომ არ იყო ჩვენი უბედურება?!.

სამწუხაროდ, ძალზედ მოკლე დროში გამოჩნდა ახალგაზრდა კაცის უმწიფრობა და რაც ყველაზე უიმედოა, მას გავლილმა პრეზიდენტობის ექვსმა წელიწადმაც ვერაფერი შესძინა!.. სხვას რას უნდა ნიშნავდეს, როცა ლამის მთელი საქართველო ფეხზე დგას მის წინააღმდეგ, ის კი, ხან თურქეთის სამხრეთში შვიდვარსკვლავიან სასტუმროში ამოყოფს თავს ხან სკანდალურ მასაჟისტს აუშვერს უკანალს და ბოლოს რომის ოლიმპიური სტადიონიდან ეკრიჭება (მინდოდა ოპოზიციას მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე, იგი ყველაფრის ღირსია, ხალხმა რა დააშავა თორემ!) სულიერად და ფიზიკურად განადგურების პირამდე მისულ საკუთარ ხალხს!..

ყოველივე ამის შემდეგ ინგა გრიგოლიასთან საუბარში გია ბარამიძე, უტიფრად ამტკიცებდა პრეზიდენტი იტალიაში საგარეო საქმეთა მინისტრს შეხვდა და **"ბიზნესმენებთან”** ჰქონდა სახელმწიფო მნიშვნელობის შეხვედრები!.. და რიგით მაყურებელთა ტრიბუნაზე იმიტომ მოხვდა, სახელმწიფო ხაზინის ფულის დახარჯვას მოერიდა და იაფფასიან ბილეთს დასჯერდაო!..

ვაი თქვენს პატრონს უბედურს, ხალხი რომ ასეთი მიამიტი გგონიათ!

ვთქვათ და დავიჯერეთ, მაგრამ სად არის იმის გარანტია იგი ქვეყნის და ხალხის კეთილდღეობისთვის ხვდება **“ბიზნესმენებს”** და არა საკუთარი კეთილდღეობისთვის არ იყენებს მის დღევანდელ მდგომარეობას?..

... უნებურად აშშ-ს პრეზიდენტის კლინტონის სკანდალი გამახსენდა თეთრ სახლში ახალგაზრდა პრაქტიკანტ ქალბატონ ლევინსკისთან. კინაღამ გადააყოლეს კლინტონი ახალგაზრდა ქალთან შემჩნეულ ფლირტს (არავის უთქვამს მასთან სექსუალური კავშირი ჰქონდაო!) და ბოდიში მოახდევინეს საქვეყნოდ!..

პრეზიდენტის უზნეო საქციელი ქვეყნის და ხალხის შეურაცყოფაა ნორმალურ ქვეყნებში! საქართველოში კი, მის პრეზიდენტზე გადაღებული პორნოგრაფიული ფილმი, ექსკლუზიურ სასტუმროებში მისი გრიალი, საკუთარი თვითმფრინავით ექსტრავაგანტური მასაჟისტების ჩამოყვანა და ყალყზემდგარი ნახევარი საქართველოს დასანახად რომის სტადიონიდან კრეჭა ვაჟკაცობად ითვლება, ნახეთ რა მაგარი მამაკაცია, რა მაგარი პრეზიდენტი გვყავსო!..

ხომ არ დადგა დრო, მარტო პრეზიდენტის კი არა ერის, ხალხის მორალურზნეობრივი სახეც რომ გადაიხედოს? როგორც გვჩვევია ხოლმე, როცა იგი ჩვენ გვაწყობს თვალებს ხომ არ ვხუჭავთ ბევრ სიმახინჯეებზე და – მარტო ერთეულებისთვის კი არა, მთელი ერისთვისაც ხომ არ გადაფასდა საუკუნოვანი ტრადიციები, რომელსაც ქართულ ზნეობას, ოჯახს ვეძახით?!.

თუ ეს ასე არაა, მაშინ რატომ ვითმენთ ქვეყნის პირველი კაცის, სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრიობის მქონე საქართველოს პრეზიდენტადწოდებული მიშა სააკაშვილისგან – ოჯახის, ქვეყნის და ბოლოს ზოგადქართული ტრადიციების აშკარად შეურაცხმყოფელ საქციელს?..

საკამათო არ არის, ის რაც დღეს არის უნდა მოვიშოროთ, მაგრამ... უნებურად ბარინგებთან საუბრის დასაწყისი გამახსენდა:

**ოღონდ შევარდნაძე გადაშენდეს და ყველაზე საძაგელი ბოლშევიკი რომ გააცოცხლო ხალხი იმასაც გაჰყვება მეთქი!**

**– დავფიქრდეთ, ისევ იგივე არ გავიმეოროთ, რაც 2003-ში დაგვემართა, თორემ გადაშენებამდე ერთი ნაბიჯიღაა!**

**დავით ქობალია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაურსა სად წაიყვან...



ჩვენი წერილის გმირი ერთი უბრალო მშრომელი ადამიანი გახლავთ, რომელიც 1911 წელს დაიბადა აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონის სოფელ ტაშსალახლიში. ხალიდ ჯაბიევი გამრჯე მშობლების ოჯახში იზრდებოდა, მაგრამ სწორედ მშობლების შრომისმოყვარეობა ექცა ოჯახს ბედისწერად. მის ქონებას დახარბებული მეზობლების საჩივრის საფუძველზე 1921 წელს ხალიდის მამა ბოლშევიკებმა საკუთარ ეზოშივე დახვრიტეს, დედა კი მალე გადაყვა დარდს. 10 წლის ხალიდი დაობლდა. 1931 წელს კი, როცა დავაჟკაცდა, მამის დამბეზღებლებზე შური იძია – ოთხი არაკაცი გაუყენა მოუსავლეთის გზას და ტყეს მისცა თავი.

ზუსტად ათი წელიწადი ემალებოდა ხალიდი მართლმსაჯულებას, დიდი სამამულო ომის გამოცხადებისთანავე კი საკუთარი ფეხით გამოცხადდა მილიციაში და ფრონტზე წასვლის სურვილი განაცხადა. ძველი ცოდვები მიუტევეს, რადგან მისი მსხვერპლი დამბეზღებლები არც ხელისუფლებას ეხატა გულზე, და ხალიდი ფრონტზე წავიდა. სტალინგრადთან იმდენად მძიმედ დაიჭრა, რომ მისი ბრძოლებში მონაწილეობა სამუდამოდ გამოირიცხა. დემობილიზებულმა ჯანდაშრეტილმა ხალიდმა სამტრედიაში ჩააღწია, იქ სამედიცინო მიმართულება ანაკლიაში განთავსებულ მესაზღვრეთა სპეციალიზებულ ჰოსპიტალში გაუფორმეს და ზუგდიდში გააყოლეს მანქანას. ორი წლის მკურნალობის შემდეგ ხალიდმა ანაკლიაში საცხოვრებლად დარჩენა გადაწყვიტა. დასახლდა, ცოლად ლაზი ეროვნების ქალი – ჰურიე მოიყვანა და სათავე დაედო კიდევ ერთ ოჯახს, რომელსაც ღირსეული თაობა უნდა აღეზარდა საქართველოსათვის.

ხალიდ ჯაბიევი კიდევ დიდხანს ახსოვდათ ყაზახის მცხოვრებლებს. ომი დამთავრდა, მათ კი თანასოფლელზე არავითარი ინფორმაცია არ გააჩნდათ. ალბათ უგზო-უკვლოდ დაიკარგაო – ასე მიაჩნდა ყველას და გული წყდებოდათ, რომ სოფელს უშიშარი, გულმართალი ადამიანი გამოაკლდა. დრო გადიოდა, ახალი თაობა წამოიზარდა, ძველები მოხუცდნენ და ხალიდის სახელსაც იშვიათად, მაგრამ მაინც ახსენებდნენ ხოლმე. გულადი ვაჟკაცი თემს არასოდეს ემეტება დასავიწყებლად.

ხალიდი მალე შეეჩვია ულამაზეს ანაკლიას, თუმცა მუდამ მშობლიური ყაზახი ესიზმრებოდა. შვილებმა დარდი დაავიწყეს. გარდა ამისა, ხალიდმა გუმანით იგრძნო, რომ ყველაზე ღარიბი და უპოვარი მეგრელიც კი სამართლიან და თავისუფლებისმოყვარე ქართველებს შორის, განსხვავდებოდა სიამაყითა და სამართლიანობით. მეგრელებმა კი იმიტომ შეიყვარეს აზერბაიჯანელი ხიზანი, რომ დღენიადაგ ცდილობდა შეესწავლა არა მხოლოდ ქართული, არამედ მეგრული ენაც. ასე იქცა ხალიდისათვის სამეგრელო სამშობლოდ, რომელმაც თავისი **"ოდაბადე"** დასტოვა და ანაკლიაში დაიდო ბინა.

მაინც რა სასიამოვნოდ ჟღერს ეს მეგრული სიტყვა **"ოდაბადე"**.

მხოლოდ დიდი სიყვარული თუ დაგარქმევინებს ასეთ გრძნეულ და მომაჯადოვებელ სახელწოდებას იმ ადგილისათვის, სადაც შენ ქვეყნიერებას მოევლინე. მოდი და ნუ შეგიყვარდება ეს ფიცხი მეგრელები, რომლებიც საკუთარ ოჯახზე და პიროვნებაზე მეტად ეთაყვანებიან სამშობლოს.

დღე და ღამე ჰქონდა გასწორებული შრომაში, რათა მრავალსულიანი ოჯახი გამოეკვება. საოცარი ფიზიკური ძალის პატრონი იყო ეს ტანმორჩილი კაცი, მაგრამ უზომოდ კეთილიც. ოთხმოცი წლის მოხუცმა კაცმა, სამეგრელოს რეგიონზე მეოცე საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში შევარდნაძის მიერ შესეული მხედრიონელების თარეშისას მარტოდმარტომ შესძლო მის სახლში შევარდნილი რამდენიმე მოძალადის მოგერიება და განიარაღება, შემდეგ კი თავად დაიცვა ისინი ადგილობრივი მოსახლეობის რისხვისაგან, რომლებიც მზად იყვნენ შუაზე გაეგლიჯათ სოფელს ავისმომასწავებელ სახადად დარეული ნარკოტიკებით გაბრუებული არამზადები.

სამშობლოს დანატრებულ ადამიანს ანაკლიის სოფლის სასაფლაოზე მიუჩინეს საბოლოო სასუფეველი და გულზე წარწერიანი ქვა დაადეს:

**"ხალიდ ჯაბიევი, დაიბადა 1911 წელს აზერბაიჯანში, გარდაიცვალა 1992 წელს ანაკლიაში".**

განა სულ ეს არ არის ადამიანის სიცოცხლე?

შვიდი შვილი დაუტოვეს სამშობლოს ხალიდმა და ჰურიემ, შვიდი წესიერი, საამაყო შვილი, რომლებიც დღეს სხვადასხვა ქვეყნებში შრომობენ და მოღვაწეობენ.

უფროსი ძმა რუსტამი ბაქოში ცხოვრობს, მომდევნო შვილი – ჯავი, მამის სიყვარულმა აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონის სოფელ ტაშსალახლიში დაასახლა. შემდეგი შვილი – ზაალი ვილნიუსში ცხოვრობს და მუშაობს, მათი დაიკო გულნაზი კი სარფშია გათხოვილი. ასლანი როსტოვში ცხოვრობს, გენადი ჯაბიევი კი წარმატებული ბიზნესმენია და თურქეთის ქალაქ ტრაპიზონში იმყოფება. რაც შეეხება უმცროს ჯაბიევს – თეიმურაზი, იგი თავისი ოჯახით მამის ფუძეზე ანაკლიაში სახლობს. ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ დედმამიშვილები ხშირად ეხმიანებიან ტელეფონით და ერთმანეთს მხოლოდ მეგრულ ენაზე ელაპარაკებიან.

სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ხალიდ ჯაბიევის შვილები, და მათი მონაგარი, დარწმუნებით ვიცით, რომ ისინი საკუთარ პირმშოებს საქართველოსა და აზერბაიჯანის უსაზღვრო სიყვარულს ასწავლიან, რადგან ბედმა მწერალმა ისურვა, რომ ჯაბიევებს ჰქონდეთ ორი სამშობლო: საქართველო და აზერბაიჯანი, რომელთაც წარსულშიც და დღესაც მჭიდრო მეგობრული ურთიერთობები აერთიანებთ სწორედ ხალიდ ჯაბიევის და მისი შვილებისთანა მშრომელი და გულთბილი ადამიანების წყალობით.

ხალიდ ჯაბიევმა იმის ნათელი მაგალითი დაგვიტოვა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა მისთვის უცხო ეთნიკურ თუ რელიგიურ გარემოში ისე, რომ ყველას შეაყვაროს და დაახსომოს თავი.

ჩვენ ხშირად გვიყვარს იმის გამეორება, რომ ამ ქვეყნად ღმერთი ერთია, მხოლოდ რელიგია არსებობს სხვადასხვა.

სწორედ ის ღმერთი წყალობდეს სამეგრელოსა და სრულიად საქართველოს მოყვარულ ყველა ადამიანს!

**ზვიად ქობალია**

---

**ამას წინათ რედაქციამ მიიღო წერილი საზოგადოებრივ-სამეცნიერო მოძრაობა "საქართველოს პალადიუმი"-საგან, რომლის გამგეობის წევრები ესალმებიან ჩვენს დაუღალავ შრომას საქართველოს ისტორიის, განსაკუთრებით კი უახლესი ისტორიის ფალსიფიკატორთა წინააღმდეგ. "მიგვაჩნია. რომ ყველაფერი, რასაც თქვენ აკეთებთ, მეტად საშურია ჩვენი ქვეყნისათვის. საქართველოს პალადიუმის (სპ) ტერმინოლოგიით თქვენი მოღვაწეობა ესაა ე.წ. "ქართული ალგორითმისათვის" საფუძვლების ჩაყრა, რაც დიდმა ილიამ მეტად მარტივად გამოხატა "ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნეს" – აღნიშნულია წერილში. ჩვენი მოძრაობა ცდილობს იმუშაოს ყველა მიმართულებით, რაც კი დაკავშირებულია ქართველი კაცის, საქართველოს, სრულიად კავკასიის, იბერიულ-კავკასიური მოდგმის მომავალთან.**

**ამავე დროს, გამოთქვამენ რა გაზეთ "ილორთან" და სახალხო მოძრაობა "სამეგრელოსთან" თანამშრომლობის სურვილს, გამგეობის წევრებმა გამოგვიგზავნეს გამოხმაურება ბატონ ანზორ შონიას ნაწარმოებზე, სათაურით:**

# დიდი ქართული წიგნი

გამომცემლობა **"ქართულმა წიგნმა"** გამოუშვა დიდი მამულიშვილის ანზორ შონიას გენიალური ნაშრომი **"კოლხები – ქართველთა წინაპრები"**.

საქართველოს პალადიუმის აზრით ეს ნაშრომი წარმოადგენს ყველა ქართველის სამაგიდო წიგნს. იგი წარმოადგენს დიდი ილიას **"საერთო ნიადაგის თეორიის"** მეტად წარმატებულ განვითარებას.

**სპ**-ს აზრით, ამ საქმეში მრავალ მეცნიერთა გაორება წარმოადგენს ჩვენს უმთავრეს პრობლემას, და სწორედ ამის წინააღმდეგ ილაშქრებს წინამდებარე ნაშრომი. გარკვეული არაობიექტურობა გასდევს წითელ ზოლად იმ **"მოღვაწეებს"**, რომლებიც მეგრული და სვანური ენისაგან **"იცავენ"** საქართველოს. ამ ვაჟბატონებს იქნებ ვკითხოთ: რატომ უნდა იყოს ეს ენები ევროპის ზრუნვის საგანი, თვითონ ქართული სახელმწიფო რატომ არ უნდა ზრუნავდეს მათზე?

ნაშრომში ბატონი ანზორი მეტად გონივრულად ააშკარავებს იმ უამრავ არათანმიმდევრობას, რითაც სავსეა ქართული პრესა ამ საკითხში. ასე მაგალითად, გაზეთებში **"ალია"** (06.081995წ.), **"ჯორჯიან თაიმსი"** (11.08.2005წ.), **"საქართველოს რესპუბლიკა"** (09.08.2005წ.) გამოქვეყნებული სტატიები ნაწილობრივ სწორედ ამგვარ **"მოღვაწეთა"** არაპატრიოტული მოქმედების შედეგია ერთიანი ქართული სხეულიდან ისტორიულ აფხაზთა გაუცხოება. ეს წერილები მიუთითებენ განათლების თუ რა დონე და როგორი მრწამსი გააჩნიათ ამ სტატიის ავტორებსა და რედაქტორებს.

საქართველოს პალადიუმის აზრით ყველა ამ მცდელობის უკან აშკარად შეინიშნება ერთიანი ქართული სხეულის დანგრევის სურვილი, რაც გამოიხატება კოლხური წარსულის დაკნინებაში, ბრძოლას **"საერთო ნიადაგის თეორიის"** წინააღმდეგ, რომელიც ხორციელდება წერილთა საქმეში ღრმად ჩაუხედავი ავტორების ხელით.

ნაშრომში საკადრისი პასუხი გაეცა იმ მეცნიერებს, რომელსაც ჰგონია, ქართული დამწერლობა ბერძნულის საფუძველზეა შექმნილი. მათ ვერ გაუგია თუ რას წარმოადგენს ქართული სიტყვა **"ბერძენი"**. ეს სიტყვა წარმოადგენს სიტყვების **"იბერთ"** და **"ძენის"** გაერთიანებას. ანდა რატომაა, რომ მხოლოდ ქართულ ენაზე ჰქვიათ ბერძნებს ეს სახელი და სხვა ენებზე **"გრეკი"**? საინტერესოა, წაუკითხავს თუ არა მათ ზვიად გამსახურდიას **"საქართველოს სულიერი მისსია"** და რა იციან კოლხურ-პელაზგური, შუმერული ცივილიზაციის შესახებ და ის, რომ ბერძნულ ცივილიზაციას სწორედ ჩვენმა წინაპარმა დაუდეს სათავე და, აქედან გამომდინარე, თვით ბერძნული ანბანი უნდა იყოს ჩვენი შექმნილი და არა პირიქით.

სპ-ს მიაჩნია, რომ ჭეშმარიტებაზე ზერელე აზრის მქონე მეცნიერები კი არ ცდილობენ ჭეშმარიტება დადგენას, არამედ სურთ, რომ თავი საქმის დიდმცოდნედ წარმოადგინონ. ეს კი ნამდვილად არ შეიძლება ჩაითვალოს ჭეშმარიტ მეცნიერებად. განა ცხოვრებამ არაერთგზის არ დაგვარწმუნა, რომ სწორედ ამგვარ **"მეცნიერთა"** კისერზეა ყველა ის უბედურება, რაც გვჭირს. როგორც ჩანს, ბევრ მეცნიერს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, თუ რას წარმოადგენს ქართული ასომთავრული.

ამის თაობაზე გენიალური აღმოჩენა გააკეთა ქართველმა **"არაკადემიკოსმა"** მეცნიერმა რევაზ ბუკიამ. მის შესახებ დაწვრილებით იქნება საუბარი მომდევნო წერილებში.

წინამდებარე ნაშრომში ბატონმა ანზორ შონიამ საკადრისი პასუხი გასცა ყველა ვაი=მეცნიერს.

ფაქტია, რომ ისინი მეტად საშიშნი არიან ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის. სწორედ მათი **"მაღალი"** მეცნიერული იდეებით **"განათლებული ინტელიგენტები"** წერენ არანაკლებ მუღებელ ნაშრომებს მეგრულ და სვანურ ენებზე, რომელთა **"მბრწყინავი"** ნიმუშებია წიგნში მოყვანილი.

**სპ**-ს აზრით ბატონი ანზორის ნაშრომის მიზანია ქართული ისტორია და სული გაწმინდოს იმ ბაცილებისგან, რაც ხელს უშლის ქართველი ერის სულიერ ერთობას და ქვეყნის აღმშენებლობას.

საქართველოს პალადიუმი მოუწოდებს ყველა შეგნებულ ქართველს, სამაგიდო წიგნად გაიხადოს ბატონი ანზორის ნაშრომი.

რაც შეეხება თავად საქართველოს პალადიუმს, მისი ფუნდამენტური პრინციპია: ცოდნა ესაა სტრუქტურა! საქართველოს პალადიუმი კომპლექსურად უდგება ქვეყნის წინაშე მდგომ პრობლემებს, ის ცდილობს იმუშაოს ყველა მიმართულებით, რაც კი დაკავშირებულია ქართველი კაცის, საქართველოს, სრულიად კავკასიის, იბერიულ-კავკასიური მოდგმის მომავალთან.

30 საუკუნის წინ ხომ სწორედ ასეთი კავშირი არსებობდა კავკასიაში კოლხეთის სამეფოს სახით, რომელიც დაწვრილებით აქვს აღწერილი ბატონ ანზორ შონიას თავის ცნობილ ნაწარმოებში **“კოლხები ქართველთა წინაპრები”**.

ამ ერთობის გამოძახილია შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა, სადაც მასში ხსენებულ ქვეყნებს შორის დამყარებულია სწორედ თანამეგობრობის ტიპის კავშირები.

საქართველოს პალადიუმი ასევე მუშაობს ეგრეთწოდებული **“ქართული ალგორითმის”** საფუძვლებზე, რომლის მთავარი პრინციპები მოცემულის სრიასლში “ინფორმაციული ომი”.

მიგვაჩნია, რომ თქვენი გაზეთი და საქართველოს პალადიუმი ემსახურებიან ერთ მიზანს, აქედან გამომდინარე, მზად ვართ ერთობლივი ბრძოლისათვის.

**საქართველოს პალადიუმი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი "ილორი" უძღვება რუბრიკას "მსოფლიო ჩემპიონატები ფეხბურთში", რომელიც ასახავს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ბატალიებს.

# იტალია 1990

მსოფლიოს 1990 წლის საფეხბურთო ჩემპიონატი ჩატარდა იტალიაში, რომელიც იგივე სისტემით წარიმართა, როგორც 1986 წელს მექსიკაში გამართული ჩემპიონატი. თუმცა, სერიოზულ კრიზისში მყოფი საფრანგეთის, დანიისა და პორტუგალიის ნაკრებები საერთოდ ვერ მოხვდნენ ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ 12-წლიანი შესვენების შემდეგ ფინალურ ეტაპზე გამოჩნდა ჰოლანდიისა და შვედეთის გუნდები.

იტალიაში საასპარეზოდ ჩასული 24 გუნდი 6 ქვეჯგუფში გადანაწილდა, საიდანაც მერვედფინალის საგზური მიიღეს მხოლოდ ჯგუფში პირველ და მეორე ადგილზე გასულმა ნაკრებებმა, მათ კი დაემატათ 4 საუკეთესო მაჩვენებლით მესამეადგილოსანი.

ჩემპიონატის ყველაზე დიდ მოულოდნელობად იქცა კამერუნის ეროვნული ნაკრები, რომელთაც ჩემპიონატის გახსნით მატჩში 1:0-ზე დაამარცხეს მოქმედი მსოფლიო ჩემპიონი არგენტინის ნაკრები. იმავე კამერუნელებმა მომდევნო მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხეს რუმინელები. ამავე ჯგუფში ასპარეზობდა საბჭოთა კავშირის ეროვნული ნაკრებიც, რომელმაც პირველი ორი მატჩი ერთნაირი ანგარიშით 2:0 დათმო არგენტინელებთან და რუმინელებთან. საბჭოთა ფეხბურთელებს მესამე მატჩი კამერუნელებთან ოთხი ან მეტი ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ, რაც საჭირო იყო მერვედფინალში გასასვლელად. მართალია, საბჭოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 4:0, მაგრამ მატჩი არგენტინელებსა და რუმინელებს შორის დასრულდა ფრედ, ანგარიშით 1:1, რამაც საბჭოთა კავშირის ნაკრებს მერვედფინალში გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა.

არგენტინის ნაკრებმა ჯგუფში დაიკავა მესამე ადგილი და მოახერხა მერვედფინალში გასვლა, სადაც მათ დაამარცხეს ბრაზილიის ეროვნული გუნდი ანგარიშით 1:0, ხოლო მეოთხედფინალში პენალტების სერიით 3:2-ზე სძლიეს იუგოსლაველებს. იტალიის ნაკრებმა კი მერვედფინალსა და მეოთხედფინალში შესაბამისად დაამარცხა ურუგვაისა და ირლანდიის ნაკრები გუნდები და ნახევარფინალში შეხვდა არგენტინის ეროვნულ ნაკრებს. ამ დაძაბულ მატჩში იტალიელები პენალტების სერიაში დამარცხდნენ ანგარიშით 3:4. მერვედფინალურ დაპირისპირებაში გერმანელებმა ანგარიშით 2:1 სძლიეს ჰოლანდიელებს, თუმცა ამ მატჩში განსაკუთრებით გამორჩეული იყო ჰოლანდიელი ფრანკ რაიკაარდისა და გერმანელი რუდი ფიოლერის არასპორტული დაპირისპირება, რის გამოც თამაშის 22 წუთზე მატჩის მთავარი არბიტრის მენდესის მიერ ორივე ფეხბურთელი გაძევებული იქნა მოედნიდან. ინგლისელებმა კი მეოთხედფინალში დამატებით დროში ანგარიშით 3:2 სძლიეს კამერუნელებს, ხოლო ნახევარფინალში კი პენალტების სერიაში ანგარიშით 4:3 დამარცხდნენ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონებთან.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი განსაკუთრებული სანახაობით არ გამოირჩეოდა და მატჩის 84-ე წუთზე გამარჯვების გოლი გაიტანა გერმანელმა ანდრიას ბრემემ. ამგვარად, გერმანიის ნაკრები ბრაზილიისა და იტალიის დარად, მესამედ გახდა მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში, რამაც ამ გუნდს ღირსეული ადგილი მიუჩინა მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში.

**გიორგი ჯალაღანია**



## მსოფლიო ჩემპიონი – გერმანიის ნაკრები

### ფინალი

**გფრ – არგენტინა 1:0 (0:0)**
08.07.1990წ. რომი, ოლიმპიური სტადიონი.
73.603 მაყურებელი.

**მსაჯები:** ე. კოდესალ მენდესი (მექსიკა), მ. ლისტკევიჩი (პოლონეთი), ა. პერეს იოიოსი (კოლუმბია).

**გფრ:** ილგნერი, ბრემე, კოლერი, აუგენტალერი, ბუხვალდი, ბერთოლდი (როიტერი 73), ლიტბარსკი, ჰესლერი, მათეუსი (კაპიტანი), ფიოლერი, კლინსმანი.
**არგენტინა:** გოიკოეჩეა, ლორენსო, სერისუელა, სენსინი, რუჯერი (მონსონი 46), სიმონი, ბასუალდო, ბურუჩაგა (კალდერონი 53), მარადონა (კაპიტანი), ტროგლიო, დესოტი.
**გოლი:** ბრემე (84, პენალტით).

**ბომბარდირები**
სალვატორე სკილაჩი (იტალია) – 6 ბურთი;
ტომაშ სკუჰრავი (ჩეხოსლოვაკია) – 5 ბურთი;
მიგელ გონსალეს მიტჩელი (ესპანეთი) – 4 ბურთი;
როჟე მილა (კამერუნი) – 4 ბურთი;
ლოთარ მათეუსი (გერმანია) – 4 ბურთი;
გარი ლინეკერი (ინგლისი) – 4 ბურთი.

**ჩემპიონატის სიმბოლური ნაკრები**
ძენგა (იტალია), ბარეზი, ბერგომი (ორივე იტალია), ბუხვარდი, ბრემე (ორივე გფრ), ჟორჟინიო (ბრაზილია), დონადონი (იტალია), მათეუსი (გფრ), შიფო (ბელგია), სკილაჩი (იტალია), კლინსმანი (გფრ).

## იუმორი

როცა ღმერთს ამერიკელების დასჯა სურს, ქარიშხალს, მიწისძვრას, წყალდიდობას და ხანძარს ატეხს თავს. როცა დანარჩენთა დასჯა უნდა – მათ ამერიკელებს უსევს.

* * *

– გულზე გასკდები ადამიანი! – ბობოქრობს კაცი,– სტადიონზე 22 ფეხბურთელია, 2 მწვრთნელი, 10 სათადარიგო მოთამაშე, 1 არბიტრი, ორი გვერდითი მსაჯი, 6 ოპერატორი, 3 ტელევიზიის მუშაკი, 50 სპორტული ჟურნალისტი და დაახლოებით 80 ათასი მაყურებელი. ამ მტრედმა კი მაინცდამაინც მე დამასკინტლა. გაგიჟდები კაცი, რა...

* * *

ერთმანეთის გვერდით სამი მაღაზია დგას.

მარცხენა მაღაზიის მეპატრონემ ფირნიშზე შემდეგი სიტყვები დააწერა: "ჩვენთან ყველაზე დაბალი ფასებია".

მარჯვენა მაღაზიის პატრონმა კი: "ჩვენთან ყველაზე ხარისხიანი საქონელი იყიდება".

შუა მაღაზიის პატრონი სულ ორი სიტყვით შემოიფარგლა: "მთავარი შესასვლელი".

* * *

მეცნიერებმა არალის ზღვის დაშრობის საიდუმლოს ახადეს ფარდა: მათი აზრით, ზღვაში პამპერსებითა და ქალის საფენებით სავსე გემი ჩაიძირა.

## სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ

ვაგრძელებთ ნაწყვეტების ბეჭდვას "ეფრემ ვერდის" წიგნის იმ მონაკვეთიდან, სადაც შეკრებილია სიზმრების ახსნა დანიელ წინასწარმეტყველის მიერ.

**აბრეშუმის ჭია** – ცუდია, უეცარ ფათერაკში გაება და მტერი გაახარო;
**აღვირის გაყრა ცხენისათვის** – უსათუოდ ვისმე დაუახლოვდები და დაუმეგობრდები;
**ამოიოხრო** – თავად განსაცდელი დაგემართოს, თუ სხვისა ნახე – სასარგებლოა;
**აკვანი** – კარგია და უმანკოების ნიშანია;
**ამხანაგის ნახვა** – ახალი საქმის და ახალი ამბის ნიშანია;
**ალერსი** – საკეთილოა და გულის ნდომა აგისრულდება;
**ანთება სანთლისა** – ბედნიერებისა და ფართო ცხოვრების ნიშანია;
**ამაღლება, ანუ ფრენა** – ძალიან კარგია, სიწმინდე და სიწრფოების ნიშანია;
**ბალი ჭამო** – ცუდია და სინანული;
**ბალის ნახვა** – ძალიან კარგია და კეთილი;
**ბუდე ფრინველისა** – სიხარულისა და ბედნიერების ნიშანია;
**ბატი ნახო** – ნიშანია დიდი კაცისა ანუ შორი გზისა და უცხოეთში წასვლისა.




მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქნეულები მიდიან გამოჯანმრთელებულები ბრუნდებიან

გაგნიძის პრეპარატი არჩენს

ავთვისებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუვალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნევროზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პარკინსონს, ასთმას, ჩიყვს, გულისა და თირკმლების დაავადებებს, სპობს აზოტს თირკმელში, ჰკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შველის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქდენას, ოსტეოქონდროზს, გაიმორიტს, სისხლის გათეთრებას, სეფსისს, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ბოტკინს, ელენთის, ნაღვლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, ქლამიდიას, კლიმაქსს, წყლულს, ფსორიაზს, სახსრების დაავადებებს, ეპილეფსიას, ამყარებს იმუნიტეტს, ახდენს თავის ტვინის უჯრედების აღდგენა-შენარჩუნებას, დადებითად მოქმედებს სექსუალურ დარღვევებზე და ნარკოტიკებთან დამოკიდებულებებზე.

კოორდინატები:

თელავი, კავკასიონის ქუჩა №61-ბ,
გაგნიძე ბიჭიკო (დომენტი).
ტელ: 893-22-66-51 8(250) 7-61-24
თბილისი, წინამძღვრიშვილის 120
ბათუმი, ასათიანის 11,
(ორშაბათს, ოთხშაბათს
და პარასკევს, 10-დან 14 საათამდე).




ARK TRADE LTD

არქ თრეიდი გთავაზობთ



კომპიუტერებს და აქსესუარებს ყველა სახის კომპიუტერულ მომსახურებასა და სერვისს ასევე მაღალტექნოლოგიურ LCD მონიტორებს, ტელევიზორებს, ციფრულ ფოტოაპარატებს და სხვადასხვა სახის სპეც. ტექნიკას









SALE

გაზეთში გამოქვეყნებული პუბლიკაციის ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართია:
თბილისი,
ტაბიძის ქუჩა №23

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
მთ. რედაქტორის მოადგილე: დავით ქობალია
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი

anaklia@.web.de
e-mail:elisabetthal@.yahoo.de

რეკლამის განთავსება
899-57-33-22
384-197